ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 მაისი 2007 №117 (3040) ფასი 50 თეთრი


## აქე ქალაქი, გაქებს ქალაქი!

### გუშინ რუსთავში ჩემპიონი ოლიმპი დააჯილდოვეს



## ლუკამ წავედი დაწერა



–წუხელ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ბოლო დღეებში სულ ამაზე ვფიქრობდი, გუშინ კი საბოლოოდ გადავწყვიტე–

–შინ ჯერ არ იციან. წუხელ რამდენჯერმე მკითხეს, რა გჭირს, რაზე ფიქრობ, რატომ არ იძინებო. მერე კალამი ავილე და სპორტთან გამოსათხოვარი სიტყვის წერა დავიწყე–

–ყველაზე ბედნიერი დღე 2002 წელს მქონდა თეირანში, როცა მსოფლიოს ჩემპიონი პირველად გავხდი. ფინალში მასპინძელთა ყოჩი ალი რეზა ჰეიდარი ოცი ათასი ირანელის თვალწინ დავამარცხე. სიხარულით ლამის გავგიჟდი კაცი–

–ყველაზე მწარედ გასახსენებელი დღე ათენში იყო, ოლიმპიურ თამაშებზე. ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მერე ოქროზე ვფიქრობდი. მეგონა, ჩემპიონობას ვერავინ შემეცილებოდა, მაგრამ, კაცი ბჭობდაო და...

## სათადარიგო კახა კალაძე წასვლის თადარიგს იჭერს

ეს არ არის ულტიმატუმი — ამბობს კახა კალაძე. მაგრამ, რაც მან გუშინ ინტერვიუში გვითხრა, დიახაც, ულტიმატუმია. ყველაზე ტიტულიან პოსტსაბჭოელ ფეხბურთელს სასტარტო შემადგენლობა უნდა და თუ ეს „მილანში" არ გამოდის, სხვა ზეამბიციური გუნდი იყოს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვახარებს ის ამბავი, რომ კახა კალაძეს „მილანში" ბოლო ხანს სათადარიგოდ ამყოფებენ, მაგრამ უდავოდ გასახარია, რომ კახას ამბიცია სათადარიგოობას — თუნდაც „მილანში" და თუნდაც მალდინისას — სცილდება. და რაც მთავარია, ეს ჯანსაღი ამბიციაა — კალაძეს დიდი გუნდების ძირითად შემადგენლობაში თამაშიც შეუძლია და საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ეს დიდი გუნდებიც ულაპარაკოდ მიიღებენ მის სამსახურს.





AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახა კალაძე: წავალ!!!

## ჩემპიონთა ლიგის ორგზის მომგები ქართველი მილანს მალდინის საყვედურობს




საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „მილანის" მცველმა, ჩემპიონთა ლიგის უკვე ორგზის მომგებმა კახა კალაძემ ამ ზაფხულს შესაძლოა, გუნდი შეიცვალოს... მართალია, მილანელთა ჩვენიანი ჯერ კონკრეტულს არაფერს ამბობს და გუნდთან ერთად გუშინწინდელ წარმატებას ზეიმობს, მაგრამ აშკარაა, რომ კახა „მილანის" მწვრთნელებზე ნაწყენია და ცოტა ხანში მათთან საქმის გარკვევას გეგმავს. კალაძე „მილანის" ძირითად შემადგენლობაში ადგილს ითხოვს და ფიქრობს, რომ ამას იმსახურებს, ხოლო მწვრთნელი მას 38 წლის პაოლო მალდინის ამჯობინებს. ასე იყო „ლივერპულთან" ლიგის ფინალისას, კახა სულ 10 წუთით ათამაშეს... თუმცა კალაძეს, როგორც პროფესიონალს, წყენა მოედანზე არ გადაუტანია, რაც ითამაშა, მთელი ძალით ითამაშა, გუშინ კი ათენიდან მილანისკენ აბარგებულმა ეს გვითხრა:

— ათენში ზეიმს უკვე მოვრჩით და ახლა უმთავრესისთვის ვემზადებით, ერთ-ორ საათში მილანში ვბრუნდებით, წარმომიდგენია, ქომაგობა იქ როგორ დახვედრას მოგვიწყობს. უზომოდ გახარებულები ვართ, დიდ წარმატებას მივაღწიეთ.

— ლიგის ორგზის გამარჯვებული ხარ... იცი, რომ ასეთი შედეგი არც ერთ პოსტსაბჭოელ ფეხბურთელს არ აქვს?

— კი, ვიცი და ჩემთვის ესეც ერთი-ორად სასიამოვნო და გასახარი ამბავია. არც უკრაინელ, არც რუს ფეხბურთელებს ლიგა ორჯერ არ მოუგიათ და მეამაყება, რომ ეს ქართველმა ფეხბურთელმა შეძლო. სხვათა შორის, ეს ამბავი რუს ჟურნალისტებს მატჩის შემდეგვე გაახსენდათ და მათ ლიგის მეორედ მოგება ცალკე მომილოცეს.

— ძირითად შემადგენლობაში რატომ არ იყავი?

— ყველაფერს ველოდი და, ძირითადში თუ არ ვიქნებოდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ახლა ისეთ ფორმაში ვარ, დარწმუნებული ვიყავი, რომ მწვრთნელი ძირითადში დამაყენებდა, მაგრამ მან ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

— შენ ნაცვლად მალდინი ათამაშა თუ იანკულოვსკი?

— მალდინი. ის, ცხადია, დიდი და ძალიან ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ მხოლოდ ავტორიტეტისა და პატივისცემის გამო, ვფიქრობ, ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში არ უნდა ათამაშო.

— ვიდრე მალდინი თამაშობს, მას ალბათ სათადარიგოთა სკამზე არავინ დასვამს... გამოდის, რომ მომავალშიც მისი სათადარიგო იქნები.

— ჰოდა, ახლა სწორედ ამაზე ვფიქრობ და ამიტომაც ვარ გულნატკენი. სათადარიგოობა არ მაკმაყოფილებს და თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება, „მილანს" დავტოვებ.

— იქნებ შენამდე მალდინი აპირებს გუნდიდან და ფეხბურთიდან წასვლას?

— ზუსტად არ ვიცი, რას აპირებს, ისე კი, მას, მგონი, „მილანთან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აქვს და ალბათ მომავალ სეზონშიც ითამაშებს.

— ამ საკითხზე ხელმძღვანელობასთან ლაპარაკს არ აპირებ?

— ვაპირებ, როგორ არა. ეს ზეიმი რომ გადაივლის და ემოციები ჩაცხრება, მწვრთნელს აუცილებლად შევხვდები...

— და რას ეტყვი?

— არ მინდა, ულტიმატუმივით გამომივიდეს, მაგრამ ანჩელოტის ვეტყვი, რომ სათადარიგოობას ვერ შევეგუები. თუ ვითამაშებ, ვითამაშებ ძირითადში, თუ არა, „მილანს" დავტოვებ.

— წასასვლელი კი ასარჩევად გექნება...

— საბედნიეროდ, ამის პრობლემა ნამდვილად არ მაქვს. ისეთი გუნდებისგან მაქვს წინადადებები, რომლებიც ყოველ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძვიან.

— ანუ „ჩელსი", „ბაიერნი", „ბარსელონა"...

— სხვას ჯერ ვერაფერს გეტყვით. ვილაპარაკებ მწვრთნელთან, გაირკვევა, დავტოვებ თუ არა გუნდს და, თუ დავტოვებ, სად წავალ.

— ახლახან ისიც ითქვა, „მილანი" „ჩელსიდან" შევჩენკოს იბრუნებს და მის სანაცვლოდ ინგლისელებს კალაძესა და 12 მილიონ გირვანქას სთავაზობსო. „მილანიდან" შენს წასვლას ეს ამბავიც ხომ არ აჩქარებს?

— არა, ეს ამბავი არაფერ შუაშია. თუ „მილანის" ძირითადში მათამაშებენ, არსადაც არ წავალ. კონტრაქტი გუნდთან 2011 წლამდე მაქვს.

— „ლივერპულთან" ფინალს მივუბრუნდეთ. შეცვლაზე რომ შეხვედი, მწვრთნელმა რა დაგავალა?

— განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, ისედაც ცხადი იყო, რომ საჯარიმოში კრაუჩის წინააღმდეგ უნდა მეთამაშა და თან მარცხენა ფლანგი გადამეკეტა. როგორც კი „ლივერპულის" მწვრთნელმა კრაუჩს უხმო და სათამაშოდ შეიყვანა, ანჩელოტიმ უმალ მე დამიძახა. რაც ითამაშა, კრაუჩს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია.

— მოედანზე კი წამლით ხელში შეხვედი და სწორედ მალდინის გადააწოდე. მოსასულიერებელი იყო?

— წამალი მალდინის მივეცი, მაგრამ ის ნესტას სჭირდებოდა, ერთ ეპიზოდში მას სუნთქვა შეეკრა და მასთან წამალიც ამიტომ გამატანეს.

— ბოლოს საქართველოს ნაკრებზეც გვითხარი. ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩები ახლოვდება და თამაშს ალბათ ახლა მაინც შეძლებ...

— შევძლებ და თან, როგორც გითხარით, ძალიან კარგ ფორმაში ვარ. ნაკრებს დათქმულ დროს ფრანკფურტში შევუერთდები. კარგი იქნება, ამ ორ თამაშში ოთხ ქულას თუ მოვიპოვებთ. ადრეც მითქვამს, რომ ეროვნულმა გუნდმა თამაშის ხარისხი საგრძნობლად გამოასწორა და მატჩიდან მატჩამდე კიდევ მოვუმატებთ. ამ შეხვედრების წინ კი იმედიანად ვარ განწყობილი და ვნახოთ, ბოლოს როგორ იქნება.

**ძოგა ინასარიძე**

# არმინიამ დაადასტურა: იაშვილი გვინდა

„არმინია" და „ჰოფენჰაიმი" — სავარაუდოდ, ალექსანდრე იაშვილი ამ ორი კლუბიდან ერთ-ერთში გააგრძელებს კარიერას, თუმც გერმანულ პრესას თუ ვერწმუნებით, მეტი შანსი ბილეფელდის „არმინიას" აქვს.

ამ გუნდის მწვრთნელმა ერნსტ მიდენდროპმა რადიოინტერვიუში დაადასტურა ქართველი ფორვარდისადმი ინტერესი და აღნიშნა, მოლაპარაკებები უკვე დაწყებულიაო.

„იაშვილი „ფრაიბურგის" ნამდვილი ლიდერი გახლდათ და ვიცით, რომ ბუნდესლიგაში სურს თამაში. ის 29 წლისაა, ანუ კიდევ შეძლებს მაღალ დონეზე თამაშს" — თქვა მიდენდროპმა.

ბილეფელდურ კლუბს გამორჩეული ფორვარდი პოლონელი არტურ ვიშნიარეკი ჰყავს, თუმც გოლების სიმრავლით ვერც ის გამოირჩევა და ვერც მთლიანად გუნდი.

რაც შეეხება „ჰოფენჰაიმს", ეს გუნდი რეგიონალლიგიდან მეორე ბუნდესლიგაში გადავიდა და ფინანსურად ბუნდესლიგის ბევრ კლუბსაც სჯობს. „ჰოფენჰაიმს" ცნობილი რალფ რანგნიკი წვრთნის, ამ ზაფხულს კი რამდენიმე სახელიანი ფეხბურთელის გადაბირება სურს და მათ შორის იაშვილიცაა.

**ილია ნანობაშვილი**




# და საქართველო სად არის?

ხვალ, 26 მაისს, დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების ფინალია: „ამერი" — „ზესტაფონი". თამაში 20 საათზე თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. ბილეთები იყიდება, ოღონდ... ორგანიზატორებს ვთხოვთ, ნუ გვიწყენენ და, მორიდებით ვეტყვით, რომ ამ ბილეთიდან არ ჩანს, რომელ ქვეყანაში ტარდება ეს ფრიადი მატჩი. კარგი იქნება, თუ მომავალ წელს ისინი ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებენ და ბილეთზე სიტყვა „საქართველოსაც" მიუჩენენ კუთვნილ ადგილს. ვთქვათ, ასე: დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის „ყაზბეგის" გათამაშების ფინალი.




## შვეიცარია

**სუპერლიგა. XXXVI ტური**

არაუ 1:1 სენტ გალენი
ბაზელი 2:0 იანგ ბოისი
სიონი 2:0 ლუცერნი
თუნი 2:0 შაფჰაუზენი
ციურიხი 2:0 გრასჰოპერი

**ჩელენჯლიგა XXXIV ტური**

შო დე ფონი 4:1 კიასო

## ისლანდია

**პრემიერდივიზიონი III ტური**

აკრანესი 2:2 ფრამი
ბრეიდაბლიკი 2:2 კეფლავიკი
ჰაფნარფიორდური 4:0 კოპავოგური
ვიკინგური 0:1 ფილკირი

## შვედეთი

**სუპერეტა. VII ტური**

იორგრიტე 1:1 ჰეკენი

**თასის 1/16 ფინალი**

ლანდსკრონა 2:1 მალმიო
ნორჩიოპინგი 1:0 აიკ
სუნდსვალი 1:0 ტრელეგორგი

## ჩეხეთი

**თასის ფინალი**

იაბლონეცი 1:2 სპარტა

## ბულგარეთი

**თასის ფინალი**

ლევსკი 0:0(დ.დ.1:0) ლიტექსი

## ჰოლანდია

**ინტერტოტოს თასის პლეი ოფი ფინალი. I მატჩი**

ვიტესი 2:2 უტრეხტი

**გადასასვლელი პლეი ოფი III ტური**

ექსელსიორი 1:0 როზენდალი
ვალვაიკი 1:0 ვენლო

## დანია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

ჰორსენსი 1:2 ვაილე
კოპენჰაგენი 1:2 ესბიერგი
მიდტიულანდი 2:1 ოლბორგი
ნორდსიელანდი 4:2 რანდერსი
ოდენსე 2:3 ვიბორგი
სილკებორგი 2:1 ბრონდბიუ

**I დივიზიონი. XXV ტური**

ბრაბრანდი 0:0 აკადემისკი
ფრედერისია 3:0 ფკ ორჰუსი
ფრემადი 1:3 ფრემი
კიოგე 2:3 ორჰუსი
ლიუნგბიუ 1:1 ჰელერუპი
ნესტვედი 1:2 იოლსტიკე
სიონდერისკე 1:0 ჰერფიოლგე
ტისტედი 1:5 კოლდინგი

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა VII ტური**

ჰაკა 0:0 მიუპა
ინტერი 0:1 ვიიკინგიტი




„ამერი“ — „ზესტაფონის“ სათასო ფინალამდე წინასამატჩო „ბრძოლა“ უკვე დაიწყო, ოღონდ ჯერ მხოლოდ გულშემატკივართა შორის.

უკვე ტრადიციაა: პროფლიგა და ფედერაცია ყოველი თასის ფინალს შოუთი იწყებენ. და გამონაკლისი არც წლეულს იქნება. ანსამბლ „ერისიონის“ ფოლკლორული ნომრების გარდა მაყურებლის წინაშე ტელეკომპანია „მზეს“ სახე ნიკა ქავთარაძე და ჯგუფ „ნიკოლშოუს“ ლიდერი გია ნიკოლაძე წარდგებიან და ფინალისტი გუნდების ჰიმნებს შეასრულებენ. ქავთარაძე წარმოშობით ზესტაფონელია და ვის ჰიმნს იმღერებს, ადვილი მისახვედრია, „ამერმა“ კი კარგა ხანია, „ნიკოლშოუს“ „შენ ყველაზე მაგარი“ გააჰიტა.

გუშინ ორივე მათგანი ჟურნალისტებს წარუდგა. „ვახტანგიჩი“ ზესტაფონური კლუბის მაისურით გამოცხადდა, რომელსაც, თქმა რად უნდა, წარწერა „ფერო“ ამშვენებდა. ნიკოლაძემ კი, „ამერის“ სიყვარულს ასე გამოვხატავო და, იქვე გადაიცვა მაისურა წარწერით „ნიკოლშოუ“.

*გია ნიკოლაძე:* დარწმუნებული ვარ, კარგი ფინალი იქნება, ამიტომ გულშემატკივრებს ვთხოვ, აუცილებლად მოვიდნენ თამაშზე. ყველანი ამ ერის შვილები ვართ და მისი თასი თამაშდება. მე კი დარწმუნებული ვარ, ვინც მოიგებს — გაუმარჯოს „ამერს“.

*ნიკა ქავთარაძე:* მე და კიდევ ერთი წარმოშობით ზესტაფონელი დათო ფორჩხიძე უკვე ვამთავრებთ სიმღერაზე მუშაობას და პრემიერა თამაშის წინ შედგება. დარწმუნებული ვარ, ეს სიმღერა „ზესტაფონის“ ჰიმნად იქცევა. მოვუწოდებ „ზესტაფონის“ ყველა გულშემატკივარს, თამაშზე მოვიდნეს და საკუთარ გუნდს მხურვალედ დაუჭირონ მხარი. „ზესტაფონს“ ახლა სჭირდება გვერდით დადგომა. ორი წაგებული ფინალის შემდეგ გამარჯვება უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მოგებულის შენარჩუნება, ამიტომ მჯერა, რომ ახლა დროა, თასი საქართველოს პატარა ქალაქშიც ჩავიდეს.

*ნიკოლაძე:* რა მნიშვნელობა აქვს, თასი ხომ მაინც ამ ერს დარჩება.

*ქავთარაძე:* ამ ერს და ამ ქვეყანას ნამდვილად დარჩება, მაგრამ პატარა ქალაქს თავისი უნდა, უფრო მეტი ახალგაზრდა მოსწყდება ქუჩას და სპორტისკენ გაიხედავს.

ბოლოს ნიკოლაძემ საპრემიერო სიმღერის ლამაზად შესრულება უსურვა მეტოქეს და ორივემ ერთხმად აღნიშნა, შევეცდებით, ჩვენი სიმღერით ფეხბურთელებს დადებითი მუხტი მივცეთ და ნურც თქვენ, გულშემატკივრები დაიზარებთ ამასო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აქცია: მოიქეცი სტადიონისკენ!

**მე-18** ეროვნული ჩემპიონატი მაყურებლის სიმრავლით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა. თითო-ოროლა თამაშის გარდა, ფეხბურთელებს ცარიელი ტრიბუნების წინ უწევდათ თამაში. ჩემპიონატისგან განსხვავებით, გულშემატკივართა სიმრავლეს „ამერი“ — „ზესტაფონის“ თასის ფინალზე ელიან და დავით ყიფიანის სახელობის ფონდმა და ჟურნალმა „ათიანმა“ კომპანია „ყაზბეგთან“ და „ლუკოილ-ჯორჯიასთან“ ერთად აკი საქველმოქმედო აქციის ჩატარება გადაწყვიტა.

თბილისის ხუთ — პირველ, 21-ე, 35-ე, 51-ე და 53-ე საშუალო სკოლების 400-მდე მოსწავლეს უფასოდ დაურიგდება ფინალური მატჩის ბილეთები. მერიის მხარდაჭერით, ბავშვებს ტრანსპორტიტაც უზრუნველყოფენ და ქალაქის ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ავტობუსები ვერის ბაღიდან სტადიონამდე და უკან ამგზავრებენ.

ორგანიზატორთა აზრით, ამ აქციამ გარკვეული როლი უნდა ითამაშოს ახალგაზრდების სტადიონებზე მოსაბრუნებლად. საკმაო ხანია, მოზარდებს სტადიონისკენ გახედვა არ სურთ. იმ 400 ბავშვიდან სხვა დროს 50-იც რომ თავისით მივიდეს სტადიონზე, დიდი საქმე იქნება. ამით მოზარდები ქუჩას და ათას შარ-ხათაბალას გადარჩებიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



შაბათის და ცოცხალი შოუს გამორჩეული სახე გოჩა თანდარაშვილი სპორტის დიდი ქომაგია. ფეხბურთია, რაგბია, კალათბურთია, ძიუდოა თუ ნებისმიერი ჭიდაობა, „თანდარა“ იქაა და ძნელად, ვინმე მასსავით ემოციურად ქომაგობდეს. სანამ თანდარაშვილი შოუმენობას დაიწყებდა, სპორტული ჟურნალისტიც იყო. შარშანწინდელი თასის ფინალი მან და მისმა კოლეგა ნიკა ქავთარაძემ წაიყვანეს. შარშან კი სულაც ტრიბუნებზე შედგა მათი შოუმეტოქეობა — გოჩა თანდარაშვილი თბილისის „ამერს“ ქომაგობდა, ნიკა ქავთარაძე კი „ზესტაფონს“. შარშან ამ შოუდუელში მოგებული გოჩა თანდარაშვილი დარჩა, წლევანდელ ფინალს კი ცოტა ნირწამხდარი ხვდება, რაკი მისი „ლივერპული“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანთან“ დამარცხდა



# გოჩა თანდარაშვილი დასავლეთს ირჩევს და აღმოსავლეთს ქომაგობს

## მოხუც დედას მიხედვა ხომ უნდა?! ჰოდა, ვიაროთ სტადიონებზე!

— ვერ ვარ მთლად ხასიათზე. მაგრამ არაუშავს, მთავარია, იბრძოლეს, კაცურად წააგეს და თუ საშუალება იქნება, მალე რევანშიც შედგება — გვითხრა გოჩა თანდარაშვილმა საქართველოს თასის ხვალინდელ ფინალზე ინტერვიუსთვის რომ შევხვდით.

**— „ლივერპულის“ წაგება ინგლისელი ფანებივით განიცადე და გადაიტანე?**

— არა, ფინალს რამდენიმე მეგობართან ერთად ერთ მყუდრო თბილისურ ლუდხანაში ვუყურე. მატჩის შემდეგ არც მიჩხუბია, არც მაღაზიების შუშები მიმსხვრევია. ერთი სიტყვით, მარცხი ღირსეულად გადავიტანე. ერთი კია, ძალიან მეწყინა „მილანის“ თბილისელი ფანების მატჩისწინა კომენტარები. ასეთი რამ არ უნდა თქვა. ამიტომაც მიმაჩნია „ლივერპულის“ ფანები მსოფლიოში საუკეთესოდ.

**— ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ საქართველოს თასის ფინალზე გადართვა გაგიჭირდება?**

— პირიქით, შარშანდელი ფინალი რომ მახსენდება, ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება მატჩი. ძალიან ჯიგრული თამაში იყო, თანაც როგორი ქომაგობით! ახლანდელი ფინალი ალბათ ბევრად უკეთესი გამოვა. როგორც ვიცი, პრემიერლიგის რეჟისორები ჰყავთ მოწვეული და მატჩს ვიდეოფირზე ჩავაწერინებ, მაინტერესებს, როგორი ტელეტრანსლაცია იქნება.

**— რომელ ტრიბუნაზე, ვისთან დაჯდები?**

— დასავლეთ ტრიბუნის ბილეთი მაქვს, იქ, სადაც „ამერის“ ქომაგობა იქნება. რაც ეს კლუბი დაარსდა, მისი გულშემატკივარი ვარ. მომწონს „ამერის“ პოლიტიკა და უფროსობის საქმისადმი მიდგომა. თანაც „ამერის“ მაისურა მაქვს, ზურგზე ჩემი გვარი აწერია. ფანობაზე ერთს ვიტყვი, იმედია, ორივე ტრიბუნა გაივსება და ძალიან მაგარი ქომაგობა იქნება, ოღონდ „ამერს“ ამ ამბავში ერთ მინუსს დავუწერ, სტადიონზე უფრო ახალგაზრდების შეძახილი ისმის, ვიდრე უფროსების. თუ ეს მცირე დროში გამოსწორდება, მაგარი იქნება, თუ არა და, „ამერიც“ ჯერ „ბავშვი“ გუნდია, მომავალში კლუბთან ერთად გულშემატკივრებიც „გაიზრდებიან“.

**— ისე, შარშანდელი ფინალის შემდეგ ნიკა ქავთარაძემ რა გითხრა?**

— რა უნდა ეთქვა? რამე ჰქონდა სათქმელი?

**— ახლა რომ „ზესტაფონმა“ მოიგოს?**

— ნიკა ჩემი ძმაკაცია, მაგარ პატივს ვცემ, მაგრამ, იმედია, არც ახლა ექნება რამე სათქმელი...

ამ დროს გოჩა თანდარაშვილს ნიკა „დრუპი“ რამიშვილმა დაურეკა. „დრუპიც“ „ლივერპულის“ ქომაგი ყოფილა და მღელვარე ღამის შემდეგ პახმელიაზე ერთად გამოსვლა შესთავაზა...

**— დიდხანს არ შეგაყოვნებ და ერთსაც გკითხავ: როგორ ფიქრობ, საქართველოს ჩემპიონატის დონე ამაღლდა?**

— ამას წინათ „ოლიმპი“ — „დინამოს“ მატჩზე ვიყავი და დასაჯდომი ადგილი რომ ვერ ვნახე, ძალიან გამიხარდა. გამოდის, გულშემატკივარმა გამოიხედა შინაური ფეხბურთისკენ, რასაც ვერ ვიტყვი თამაშის ხარისხზე, თუმცა უმნიშვნელო პროგრესი აქაცაა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ორი ფაქტორი ერთმანეთზეა დამოკიდებული. საქართველოში მოთამაშე ლეგიონერებისგან ვიცი, სულ სხვაა თუნდაც ნახევრად სავსე ტრიბუნების წინ თამაში და სულ სხვა — ცარიელი სკამების ყურება. ეს ჩვენს საქმეშიც ასეა. ერთხელ ცოცხალი შოუს ჩაწერისას დაუდევრობის გამო ორიოდე სამი ადგილი იყო ცარიელი და ამან ჩვენზე ძალიან იმოქმედა. რა ჩანაფიქრიც გვქონდა, იმის ნახევარიც ვერ გავაკეთეთ. ახლა წარმოიდგინე, რა დღეში არიან ფეხბურთელები.

**— გამოსავალს რაში ხედავ?**

— ნიჰილიზმი და სტადიონზე მიუსვლელობის მიზეზი ჩვენში უნდა ვეძებოთ. მოკლედ რომ გითხრა, ეს ოჯახიდან უნდა მოდიოდეს. მამამ უნდა წაიყვანოს შვილი სტადიონზე და ქომაგობა შეაყვაროს. ერთ შედარებას მოვიყვან, შეიძლება უხერხულია, მაგრამ ასე ვფიქრობ და რა ვქნა?! როდესაც დედა მოხუცდება, ხომ არ შეიძულებ?! პირიქით, მაშინ უნდა მას მოვლა-პატრონობა. ჰოდა, ქართულ ფეხბურთშიც ასეა. რაც უნდა დაკნინებული იყოს, თუ ჩვენ არ ვიარეთ სტადიონზე და ყურადღება არ მივაქციეთ, არაფერი გამოვა.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — გამო-რჩეულნი





### აღმოჩენა
### ლევან ყენია, „ლოკომოტივი"

16 წლის შემტევმა შარშან 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გაიბრწყინა და „ლოკომოტივის" უმაღლეს ლიგაში დარჩენაშიც ლომის წილი დაიდო. რკინიგზელებმა ცხრილში მათზე ქვემოთ მდგომი გუნდები უმეტესწილად სწორედ ყენიას გოლებით ან საგოლე პასებით დაამარცხეს.

სავარაუდოდ, ამ ზაფხულს ლევანი უცხოეთში გააგრძელებს კარიერას — „შალკეს" 19-წლამდელებში იყო გასინჯვაზე და იქაურებს თავი მოაწონა.

რბილი მანერა, დრიბლინგი, ზუსტი დარტყმები, სისწრაფე და პასის კულტურა — ყენიას სახით საქართველოს კარგი 10 ნომერი ეზრდება და ვნახოთ...

### საუკეთესო მეთორმეტე მოთამაშე
### დიმიტრი ტატანაშვილი, „ამერი"

„ამერის" 23 წლის ტანხმელმა და ტექნიკურმა ფორვარდმა 11 გოლიდან 8 შეცვლაზე შესულმა გაიტანა. გლდანელები ძირითადად რატი წინამძღვრიშვილ-სულიკო დავითაშვილის წყვილით უტევდნენ, მაგრამ მერე საქმეში ერთვებოდა „ჯოკერი" ტატანაშვილი და... შედარებისთვის: „ამერისთვის" დიმა იგივეა, რაც „მანჩესტერისთვის" საუკეთესო წლებში ოლე-გუნარ სოლსკიაერი იყო.

ტატანაშვილის საუკეთესო საამსეზონო გოლი კი, ალბათ, „ზესტაფონთან" გატანილი იყო, რომელმაც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, „ამერს" მესამე ადგილი მოუტანა.



### საუკეთესო ფეხბურთელი
### სანდრო იაშვილი, „დინამო"

ჩემპიონატის ბომბარდირმა საუცხოო სეზონი ჩაატარა. მისი გატანილი 21 გოლიდან 10 გადამწყვეტი იყო და ისიც საინტერესოა, რომ „იაშკამ" 15 ბურთი მეორე წრეში შეაგდო.

სანდროს უძლავრესმა თავურებმა ბევრი გუნდი დააღონა — ამ საქმეში მას ვერცერთი ქართველი ფორვარდი ვერ შეედრება.

სავარაუდოდ, „დინამოს" 22 წლის ფორვარდი ამ ზაფხულსვე ჩაალაგებს ბარგს და უცხოურ კლუბს მიაშურებს — იაშვილის შეძენა რამდენიმე ევროპულ გუნდს სურს. და რაც სანდროსთვის გულდასაწყვეტია, კლაუს ტოპმიოლერმა მას არა და არ გაუღო ეროვნული ნაკრების კარი.

იაშვილის მძიმე ხასიათი მუდმივად სალაპარაკო თემაა, მაგრამ ამ სეზონში ნურას უკაცრავად — თითქოს დაღვინდაო, კამათს და ბუზღუნს უკლო.



### საუკეთესო ლეგიონერი
### ერია რომეო ჩასემი, „სიონი"

კამერუნელმა ფორვარდმა მეორე წრე შედარებით სუსტად ჩაატარა, თუმც მეტოქეთა დაცვისთვის მაინც საფრთხეს წარმოადგენდა. ჩასემი სწრაფია და ძლიერად ურტყამს, ეგაა, ბევრ მომენტს აცუდებს. შუა სეზონისას ამბობდნენ, მისით რუსული პრემიერლიგის გუნდები არიან დაინტერესებულნიო, თუმც ლაპარაკს იქით საქმე არ წასულა — ჩასემს და მის ორ თანამემამულეს, ბოიომო ფრიდოლინსა და გასტონ ევოჩეს სამწლიანი კონტრაქტი აქვთ „სიონთან".

ამ ნომინაციაში საუკეთესოობა ეგებ, „ზესტაფონის" ბრაზილიელ ვიეირაზე და „დინამოს" ავსტრალიელ ნედ ზელიჩზეც ალალი ყოფილიყო, თუმც ჩასემი ვარჩიეთ — მან „სიონს" ექვსი გოლი მოუნაგრა.



### საუკეთესო მატჩი
### ვიტ ჯორჯია 4:3 ამერი

რამდენიმე მართლაც კარგი და ცოცხალი თამაში იყო სეზონში, თუმც მცხეთურმა ტრილერმა ყველას გადააჭარბა: ვიტელები საწყის 10 წუთში 2:0 დაწინაურდნენ, „ამერმა" პირველ ტაიმში ერთი გაქვითა, მეორე ნახევრის შუაწელში კი ორი ბურთი შეაგდო და დაწინაურდა. და ბოლო 8 წუთში „ვიტ ჯორჯიამ" ხელმეორედ მოიგო წაგებული თამაში — ჯერ გაათანაბრა, მსაჯის საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე კი გიორგი დათუნაიშვილმა გადამწყვეტი შეაგდო. ერთადერთი, რაც ამ თამაშს აკლდა, ხასხასა მინდორი იყო. მცხეთის „არმაზზე" ხარისხიანი საფარი რომ ყოფილიყო, თამაში მაშინ გენახათ...



### საუკეთესო მწვრთნელი
### დუშან უჰრინი, „დინამო"

ცნობილი ჩეხი სპეციალისტი პირველი წრის შუაში გათავკაცდა „დინამოში" და თავისი ხელი მალე დაატყო გუნდს. მის მოსვლამდე დინამოელები მეშვიდე ადგილზე იყვნენ, საბოლოოდ კი მეორეზე გავიდნენ. 63 წლის ჩეხმა საჩემპიონო მატჩი ვერ მოიგო რუსთავში, თუმც ყველა თამაშში დაკვეთით გამარჯვება არსად წერია. უჰრინის „დინამომ" მეორე წრეში 13 მატჩიდან 35 ქულას მოუკრა პირი.

### საუკეთესო ტრანსფერი

დუშან უჰრინის „დინამოს" მწვრთნელად დანიშვნა.



# იგუაინს სხვათა აზრი არ აინტერესებს

გონსალო იგუაინი ერთ-ერთი მათგანია, რომლითაც „რეალი" იანვარში გაძლიერდა. არგენტინელი თავდამსხმელი ნელ-ნელა მკვიდრდება მადრიდელთა შემადგენლობაში და უკვე საკმაოდ სასარგებლო მოთამაშედაც იქცა. პრიმერადივიზიონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე „სამეფო კლუბს" ჩემპიონობის მშვენიერი შანსი აქვს და იგუაინიც ოპტიმისტურადაა განწყობილი...



— ბარსელონელებისა და მათი ფანების აზრით, „რეალს" ბოლო დროს ძალიან უმართლებს...

— არ გვაღელვებს, რას ფიქრობენ სხვები. „რეალის" სურვილი და მიზანი დარჩენილი სამი ფინალის მოგება და ჩემპიონობაა.

— როგორც იქნა, „რეალმა" თავისი თამაში იპოვა...

— ბრწყინვალე ფორმაში ვართ, თან ძალიან მოტივირებულნი და შემართულნი. ეს ლოგიკურიცაა, პირველ ადგილზე გადავედით. სეზონის მეორე ნახევარს ჩინებურად ვატარებთ და იმედია, ბოლო სამ მატჩსაც მოვიგებთ.

— პრიმერადივიზიონის ბოლო ორ ტურამდე სანაკრებო მატჩების გამო მცირე შესვენება იქნება. როგორ ფიქრობთ, შეიძლება, ამან უარყოფითი გავლენა მოახდინოს „რეალზე"?

— თუ ასეთივე მონდომებით, შემართებითა და თავდაჯერებით გავაგრძელებთ თამაშს, ეს შესვენება ჩვენზე ცუდად ნამდვილად არ იმოქმედებს. მთავარია, ფორმა შევინარჩუნოთ და მშვიდად გავაგრძელოთ მიზნისკენ სვლა.

— თავდაჯერება და შემართება გადამწყვეტი ფაქტორია წარმატებისთვის...

— არა, მხოლოდ ეს არ კმარა, ყველაფერი ერთად უნდა იყოს. ასევე უნდა იცოდე, როგორ ითამაშო კარგად და მოიპოვო უპირატესობა.

— „რეალი" უკვე ის გუნდია, რომელიც ძალიან ძნელად დასამარცხებელია და მის წაქცევას ბევრი ნატრობს?

— დიახ, ვფიქრობთ, კარგი გუნდი გვყავს და ამას ყოველ მატჩში ვამტკიცებთ. განწყობაც განსაკუთრებულია, რადგან მისი წელია, გუნდს არაფერი მოუგია, ახლა კი ჩემპიონობა ასე ახლოსაა. მეც ძალიან კარგად ვგრძნობ თავს.

— ბოლო მატჩებში რობერტო კარლოსი ჩინებულად გამოიყურება. როგორ ფიქრობთ, მისი დარჩენის შანსი არის?

— ძალიან გამიხარდება, თუ დარჩება. რობერტო ბრწყინვალე ფეხბურთელია და მის გვერდით ექვს თვეზე მეტხანსაც თუ ვითამაშებ, ძალიან კარგი იქნება. თუმცა გადაწყვეტილება მისი მისაღებია და ჩვენ ამას პატივი უნდა ვცეთ. კარლოსმა ყველაზე კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს. ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ იგი დარჩენილ სამ მატჩსაც ბრწყინვალედ ჩაატარებს.

— უკვე საკმაო ხანია, „რეალში" ხართ. რას იტყვით?

— ძალიან ბედნიერი ვარ. უკვე ბევრი მატჩი ჩავატარე, მაგრამ იმდენი გოლი ვერ გავიტანე, რამდენიც მინდოდა. მთლიანობაში ჩემი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ, დიდი გამოცდილება მივიღე და ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გოლიც გავიტანე.



სტივ მაკლარენს.
ბოროტი დევიც გაუწყრა

# დევიდ ბექჰემის სელები-ქსელები

**ისე** როგორ იქნება, ფეხბურთს გამოდებული ერთი „სელებრითი ამბავი" არ გიამბოთ: ცნობილმა კინო-ვარსკვლავმა ბილ ნაიმ დევიდ ბექჰემს მადრიდის სამახსოვროდ „რეალის" 23-ნომრიანი მაისური სთხოვა. გაოცებულმა ბექჰემა, ბუნებრივია, მსახიობს თხოვნა აუსრულა.




რა არის აქ გასაკვირი? ის, რომ არავინ იცოდა, ნაი ფეხბურთის მოყვარული თუ იყო, არადა, გაირკვა, რომ ყოფილა და თან როგორი: სტივ მაკლარენი დევიდს ნაკრებში რატომ არ იძახებსო.

სხვათა შორის, „კარიბის ზღვის მეკობრეებში" ბოროტი დევი ჯონსის როლის შემსრულებელმა ბექჰემისგან „ლოს ანჯელეს გალაქსის" პირველ თამაშზეც მიიღო მიწვევა — კალიფორნიაში ხდება ეს ყველაფერი.

„მე დევიდს წერილი მივწერე. ჩემი მიზანი იყო, მისთვის მხარდაჭერა მეგრძნობინებინა და მეთქვა, რომ მისი ნაკრებს გარეთ დატოვება დიდი შეცდომაა. ის როგორი ფეხბურთელია, იცით? სტადიონს თვითმფრინავით რომ გადაუფრინოთ და ჩაიხედოთ, ბექჰემს ბურთის მიღებით იცნობთ. მერედა, დევიდი ფრიად გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდა და „რეალის" 23-ნომრიანი მაისურა გამომიგზავნა თავისი ავტოგრაფით. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ 23 ჩემთვის იღბლიანი რიცხვია. ცხოვრებაში ერთხელ ვიყავი კაზინოში, 23-ზე დავდე და მოვიგე".

და რას აკეთებს ამ დროს „რეალის" ინგლისელი ვარსკვლავის მშვენიერი პოშ-მეუღლე ვიქტორია ადამსი? სანამ ქმარი მადრიდში ბოლო თამაშებს ატარებს, ის ლოს ანჯელესშია, მის ყოველ ნაბიჯს კი პაპარაცები და ჭორიკანა გაზეთების ჟურნალისტები აკონტროლებენ. ფაქტი გნებავთ? ინებეთ, გუშინ ვიქტორიამ ლოს ანჯელესში მარჯვნივ არასწორად შეუხვია და პატრულმა დააჯარიმა.

პაპარაცები, ბუნებრივია, იქ იყვნენ...

**ბაჩუნა ძიძია**



# რეალს დეკემბერი მაისში გაახსენდა


Le Monde

Violences et vigilance, le face-à-face des banlieues

**მადრიდის** „რეალი" გაზეთ „ლე მონდს" სასამართლოში უჩივის. ფრანგებმა დეკემბერში გამოაქვეყნეს წერილი, რომელშიც „რეალს" ეუფემიანო ფუენტესთან თანამშრომლობას აბრალებდნენ.

ფუენტესი ესპანელი ექიმია და მისი „დოპინგ-მომსახურებით" არაერთმა ველომრბოლმა ისარგებლა, რომლებიც აკრძალული პრეპარატების მიღებაში ამხილეს და მოკვეთეს, ექიმი კი დაიჭირეს.

„ლე მონდში" ეწერა, რომ ფუენტესის წამლებით მადრიდის „რეალი" და სხვა ესპანური კლუბებიც, „ატლეტიკო" და „ბეტისი" სარგებლობდნენ.

მადრიდელებმა ახლა გადაწყვიტეს შელახული სახელის აღდგენა და ფრანგებს სასამართლოში სიარული მოუწევთ.

**გაჩა ხუციშვილი**

## ზენდენს ეპატიჟებიან

**მარკ გონსალესს** და ბუდევეინ ზენდენს ზაფხულში გუნდიდან გაუშვებენ. ეს ცნობა „ლივერპულის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა. ჩილელი გონსალესი ალბათ „ბეტისში" გადავა, რომელიც ხუთ მილიონ გირვანქას იხდის, ზენდენის გადაბირებას კი „ლიონი" და „ბორდო" ცდილობენ.

## ალას მუშტიანი ბიჭები

„**ლობნია-ალასა**" და „ლუხოვიცის" სათასო მატჩი მსაჯების ცემით დასრულდა. თასის სამოცდამეოთხედფინალის შეხვედრა მოსკოვის გარეუბან ლობნიაში გაიმართა რუსეთის რომელიღაც ლიგის გუნდებს შორის. პენალტებით სტუმრებმა მოიგეს, ნამატჩევს კი მსაჯებს სტადიონის გარეთ სამი ბიჭი დახვდა, რომლებიც მუშტებით გაუმასპინძლდნენ. სამივე დაიჭირეს, მაგრამ „ლობნია-ალას" ქომაგები არ აღმოჩნდნენ.

**გაჩა ხუციშვილი**

# სიდველი უკვე არის, ტევესი უნდა იყოს

**ლონდონის** „ჩელსიმ" პირველი ტრანსფერი უკვე გაჩარხა — „რედინგიდან" საყრდენი ნახევარმცველი სტივ სიდველი გადაიბირა, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი დაუსრულდა და თავისუფალი აგენტი იყო.

ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, 24 წლის სიდველმა, „რედინგს" ახალ ხელშეკრულებაზე უარი უთხრა, რადგან კვირაში 25 ათასი გირვანქა ეცოტავა, „ჩელსიში" კი გაცილებით მეტს მიიღებს.

„დეილი ექსპრესის" ცნობით კი, რომან აბრამოვიჩის კლუბმა „ვესტ ჰემს" კარლოს ტევესის სანაცვლოდ 35 მილიონი ევრო შესთავაზა. მოლაპარაკება უკვე დაიწყო და არგენტინელის აგენტს ჩელსელები ევაჭრებიან. ამჟამად ტევესი სამშობლოში ისვენებს, „ვესტ ჰემს" კი მისი შენარჩუნება უნდა.

**გაჩა ხუციშვილი**

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. VII ტური

ოულუ 1:3 ტურკუ
იარო 1:2 ჰონკა
ჰიკ 0:2 ტამპერე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 7 | 5 | 1 | 1 | 10:6 | 16 |
| ჰაკა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| ტურკუ | 6 | 3 | 2 | 1 | 9:4 | 11 |
| ჰონკა | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 11 |
| მიუპა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ლაჰტი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 |
| ჰიკ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:9 | 9 |
| იარო | 7 | 2 | 2 | 3 | 9:9 | 8 |
| ოულუ | 7 | 2 | 2 | 3 | 7:9 | 8 |
| კტპ | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| ინტერი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:7 | 5 |
| ვიიკინგიტი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| მარიეჰამნი | 6 | 0 | 4 | 2 | 3:6 | 4 |
| ვაასა | 6 | 0 | 3 | 3 | 3:10 | 3 |

## არგენტინა

### კლაუსურა
### გადადებული მატჩი

ლანუსი 3:1 კილმესი

## ამხანაგური მატჩები

პაიტი 0:0 ჩილე
ირლანდია 1:1 ეკვადორი
0:1 კ. ბენიტესი (12), 1:1 კ. დოილი (43)

Copa Toyota Libertadores '2007

## ლიბერტადორესის თასი 2007

### 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

*გრემიო (ბრაზილია)* 2:0(პენ.4:2) დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) (0:2)
1:0 ჩეკო (23), 2:0 ტეკო (45)

*სანტოსი (ბრაზილია)* 2:1 ამერიკა (მექსიკა) (0:0)
0:1 ბილოსი (32), 1:1 ჟონასი (65), 2:1 სოუტო (71)

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### ფინალი. ათენი. „ოლიმპიური“

# მილანი (იტალია) 2:1 ლივერპული (ინგლისი)

1:0, 2:0 ინძაგი (45, 82), 2:1 კუიტი (89)
მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (კალაძე 80), გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (ფავალი 90), კაკა, ინძაგი (ჟილარდინო 88)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლივერპული: რეინა, ფინანი (არბელოა 88), კარაგერი, აგერი, რიისე, ხაბი ალონსო, მასკერანო (კრაუჩი 78), პენანტი, ზენდენი (კიუელი 59), ჯერარდი, კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: გატუზო (40), იანკულოვსკი (54), მასკერანო (58), კარაგერი (60)
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
70 000 მაყურებელი

# ტუალეტში მორბენალი
## ბერლუსკონი და გალიანი დაძინებაზე მოილაპარაკებენ

**საპირფარეშოში** ყველაზე ხშირად ვინ დარბოდა მატჩის წინ? ვინც 10 კილომეტრზე მეტი ირბინა მოედანზე და ორი გოლი შეაგდო.

„სტამბოლში ინძაგიმ ტრავმის გამო ვერ ითამაშა — თქვა კარლო ანჩელოტიმ — ახლაც არ იყო 100 პროცენტით მზად, მაგრამ გამოცდილებამ მაინც გაჭრა. მატჩის დაწყებამდე ისე ნერვიულობდა, რომ ვერც კი დავითვალე, იმდენჯერ წავიდა ტუალეტში“.

„უბედნიერესი ვარ — ხარობდა „პიპო“ — ჩემპიონთა ლიგის ფინალში გმირობაზე ვოცნებობდი და ამიხდა. ეს გოლები განსაკუთრებულია და სხვას ვერ შევადარებ, თუმც საკვალიფიკაციო ეტაპზე „ცრვენა ზვეზდასთან“ გატანილიც მახსოვს, რადგან ის რომ არა, ათენში არ ვიქნებოდით. ჩემი საქმე სიგიჟემდე მიყვარს და მჯეროდა, რომ შრომა დამიფასდებოდა. სილვიო ბერლუსკონიმ თამაშის წინ მითხრა, ორ გოლს გაიტანო და მართლა ასე მოხდა. პრეზიდენტი ფსიქოლოგიც ყოფილა!“

ფილიპო ინძაგის ჩემპიონთა ლიგაში 38, სულ კი ევროტურნირებზე 58 გოლი მოუგროვდა. მხრით გატანილ გოლზე „პიპომ“ იხუმრა: „ეს დამუშავებული კომბინაციაა. ზუსტად ასეთი „ემპოლის“ კარშიც შევაგდე“.

ხოლო კაცმა, ვინც ტუალეტში ინძაგის რეისებს ითვლიდა, განაცხადა: „ჩვენი ფეხბურთი ორი წლის წინანდელზე ხარისხიანი იყო. ეს ჯილდო ბედის საჩუქარია იმის სანაცვლოდ, რაც სტამბოლში კალჩოპოლის გამო დაგვემართა. თასის მოგება განსაკუთრებით სასიხარულოა, შესაძლოა, ეს სეზონი ჩემთვის ბოლოც იყოს „მილანში“.

ფსიქოლოგმა ბერლუსკონიმ, რომელიც ფეხბურთელებმა ნამატჩევს „აბურთავეს“, თქვა: „2005-ის ფინალი გაცილებით საინტერესო იყო, მაგრამ არც ამას აკლდა დაძაბულობა და ხიბლი. ჩვენ უმაღლესი კლასის ფეხბურთი ვაჩვენეთ და საკადრისი შედეგი მივიღეთ. „მილანმა“ თასი მხოლოდ თავისთვის კი არა, იტალიისთვის მოიგო.“

2003 წელს, როცა „მილანმა“ „იუვენტუსი“ ფინალში დაამარცხა, ადრიანო გალიანის თურმე თასით ეძინა.

„ამ გამარჯვებას რევანშს ვერ ვუწოდებ — თქვა ვიცე-პრეზიდენტმა — „მილანმა“ ფინალამდე ორი დიდი კლუბი, „ბაიერნი“ და „მანჩესტერი“ გააგდო და დღეს იღბალიც ჩვენსკენ იყო, რაც სტამბოლში გვაკლდა. ორ ფინალს თუ შევაჯამებთ, ჩემი აზრით, „მილანი“ „ლივერპულზე“ უკეთესი გუნდია. დირკ კუიტმა რომ გაიტანა, ტრიბუნიდან ოთახში გადავინაცვლე და ჩავიკეტე, რადგან კიდევ ერთ სტამბოლს ვერ გადავიტანდი! რაც შეეხება იმას, ვინ დაიძინებს ახლა თასით, ამაზე მე და პრეზიდენტი მოვრიგდებით.“

38 წლის მალდინი კარიერის დასრულებას არ აპირებს: „ასე დამთავრება კარგი იქნებოდა, მაგრამ ჯერ საკონტინენტთაშორისო, მერე კი ჩემპიონთა თასის კიდევ ერთხელ მოგება მინდა.“

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედ მომგებმა კლარენს ზეედორფმა გუნდს მებრძოლი სული შეუქო: „ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი, თუმც უაღრესად მობილიზებულნი ვიყავით, ორი წლის წინანდელი რომ არ განმეორებულიყო. შეცდომის უფლება არ გვქონდა. კალჩოპოლისგან დაჩაგვრის მიუხედავად, თავიდანვე ჩემი და კაკას ამოკეტვას ეცდებოდნენ და თითქმის მოახერხეს კიდეც, მაგრამ მომენტები ვერ გამოიყენეს.“

ალესანდრო ნესტამ კრიტიკოსებს მოაკეტინა: „ბევრი მაძაგებდა, მაგრამ ახლა ველარაფერს იტყვიან. ზოგი იმასაც ამბობდა, შარშან იტალია მსოფლიოს ჩემპიონი იმიტომ გახდა, რომ ნესტა ტრავმის გამო დააკლდაო. მე კი დავბრუნდი და ჩემპიონთა ლიგა მოვიგე.“

„ოქროს ბურთის“ მავარი კანდიდატი კაკა კიდევ უფრო ახლოს მივიდა ოქროსთან, რადგან ორივე გოლი მის „კისერზეა“ — ჯარიმაც მან მოინაგრა და ინძაგის საგოლე პასიც გაუკეთა.

„კუიტის გოლის შემდეგ დარწმუნებული ვიყავი, რომ სტამბოლი აღარ განმეორდებოდა. ათასჯერაც რომ გვეთამაშა ფინალში, იგივე აღარ მოხდებოდა — თქვა ბრაზილიელმა — რაც შეეხება „ოქროს ბურთს“, მუდამ ვამბობდი, თუ პირად ჯილდოს მოვიგებ, ეს გუნდის დამსახურება იქნება.“

ჯენარო გატუზომ მორიგი ომი მოიგო და რა გასაკვირია, რომ ყვითელი ბარათი მიიღო. „რინომ“ ნამატჩევს ყვითელი ბარათი მათ უჩვენა, ვინც იტალიური ფეხბურთის კრიზისზე ლაქლაქებდა...

„ეს ფინალი ყველას დაანახვებს, რომ იტალიური ფეხბურთი ავად არაა. ერთ წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ და რა კრიზისზეა საუბარი?!“

რაფაელ ბენიტესს შარშანწინდელი ფოკუსი აღარ გამოუვიდა და ნამატჩევს ჰერბერტ ფანდელს დაედევნა — ესპანელი საათზე თითს აკაკუნებდა და გერმანელ მსაჯს მოპარულ 15 წამს სთხოვდა, თამაში ადრე რად დაამთავრეო. დაჯილდოებისას მიშელ პლატინისაც შესჩივლა, მაგრამ უეფას პრეზიდენტი რაღას უშველიდა?

„ფანდელმა ადრე დაასრულა, მაგრამ ამით თავის გამართლებას არ ვაპირებ. ჩემს გუნდს შანსი ჰქონდა და ვერ გამოიყენა. თითქოს ვაკონტროლებდით თამაშს, მაგრამ „მილანმა“ კლასით გვაჯობა. აშკარად გვაკლია კარგი მეგოლე და ამაზე უნდა ვიზრუნოთ. კლუბის პატრონს სამომავლო გეგმაზე ვესაუბრე და დაგვეხმარება. შეხედეთ „მანჩესტერს“, ნახევარმცველში 20 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ჩვენ კი 8 და 9 მილიონიანი ფორვარდებით ვთამაშობთ. შეტევის გაძლიერება აუცილებლად გვჭირდება, თუ გვსურს, რომ „მანჩესტერს“ და „ჩელსის“ შევეჯიბროთ და კვლავ მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგა“.

სტივენ ჯერარდმა გულმოდგინედ იშრომა და მეორე ტაიმში კარგი მომენტიც ვერ გამოიყენა, მაგრამ „ლივერპულის“ კაპიტანმა თქვა: „ჩემს კარიერაში ეს ყველაზე ცუდი დღე იყო, თუმც ყოველი წაგებული ფინალის შემდეგ უფრო ვძლიერდები. მარცხისგან უნდა ვისწავლოთ და მომავალ სეზონში უკეთ ვითამაშოთ.“

**მაჟა ხუციშვილი**





AFP ფოტოები



AFP ათენიდან

კაკა, ჯენარო გატუზო, კახა კალაძე და კარლო ანჩელოტი

# ვინ რას ამბობდა

### თამაშის წინ

*გრემ სუნესი:* გუშინ „მილანის“ ვარჯიშზე ვიყავი და ძალიან დაქოქილები არიან. აქამდე ვფიქრობდი, რომ „ლივერპული“ მოიგებდა, ახლა კი ამ ვარჯიშმა ჩამაფიქრა. ყველაფერი ორმაგი იყო, რაც მთავარია, მონდომება.

*რუუდ გულიტი:* „მილანი“ ტექნიკურად უკეთესია, მაგრამ „ლივერპული“ მსოფლიოში ყველაზე ძნელად დასამსხვრევი გუნდია, ტაქტიკურად უფრო ძლიერი და მოწესრიგებული.

*პაოლო მალდინი:* მე ფინალის მოგება მინდა. იმაზე, რომ მაინცდამაინც „ლივერპულს“ უნდა მოვუგო, არ ვფიქრობ. გინდა „ჩელსი“ იყოს, გინდა სხვა. თამაშია და მთავარი მისი მოგებაა.

### თამაშის მერე

*გრემ სუნესი:* „ლივერპულმა“ აჯობა „მილანს“. უკეთესი გუნდი იყო. უბრალოდ, ასეთი ჯარიმა არ უნდა აიკიდო — ხომ იცი, როგორ თამაშობენ ფეხბურთს იტალიელები?

*რუუდ გულიტი:* „მილანი“ საკვირველი სანახავი იყო, სამი გადაბმული პასი არ გაუკეთებია, ჩაწოდება არ ყოფილა... „მილანი“ პიტერ კრაუჩის გამოსვლამ ძალიან შეაშინა. ასეთ თამაშებში პატარა დეტალები წყვეტს ყველაფერს. ეს დეტალები კი კვლავ კაკამ შექმნა...

*ჯეიმი რედნაპი:* ინძაგი ერთხელ შეეხო ბურთს და ორი გოლი გაიტანა — ასეთი რამ არც მინახავს. მსაჯმა კი ადრე დაამთავრა თამაში. და რა უნდა მომხდარიყო ისეთი იმ 20 წამში? თამაშს დამატებულ სამ წუთში შეცვლაც მოხდა, რაც კიდევ 30 წამს ნიშნავს. ეს სრულიად წარმოუდგენელი ამბავია...

*სტივ ჯერარდი:* პირველი გოლი დიდი საჩუქარი იყო მათთვის. ჩვენ პირველ ტაიმში ძალიან კარგად ვთამაშობდით, მაგრამ ის გოლი დიდი ფორა გამოდგა.

*დირკ კუიტი:* მეტოქეს იღბალი ჰქონდა, თუმცა, ვფიქრობდით, რომ წასაგები თამაში არ იყო. მაგრამ, მეორე გოლმა საქმე გაგვირთულა. ვგრძნობდით, რომ რაღაც განსაკუთრებულს მოვახდენდით, თუმცა არ გამოგვივიდა.

*რაფა ბენიტესი:* „მილანს“ გამარჯვებას ვულოცავ, კარგი გუნდია. პირველი ტაიმი თავიდან ბოლომდე ჩვენი იყო. გოლმა კი ყველაფერი შეცვალა. კაკამ კვლავ საუცხოოდ ითამაშა, მსაჯმა კი თამაში ადრე დაამთავრა. თუმცა მასზე რაიმეს თქმას არ ვაპირებ. უბრალოდ, მას შეცდომაზე მივუთითე.

*კლარენს ზეედორფი:* მძიმე წელი გვქონდა და ახლა ამაყი და ბედნიერი ვარ. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო თამაში, მაგრამ ძალიან ყურადღებით კი ვითამაშეთ. მეოთხედ ავიღე თასი და მას მსოფლიოს ყველა ბავშვს ვუძღვნი.

# „მილანის“ წინა ექვსი ტრიუმფი

## 1963. 22 მაისი. ლონდონი. „უემბლი“. 45 000 მაყურებელი

### მილანი 2:1 ბენფიკა

0:1 ეუსებიო (19), 1:1, 2:1 ალტაფინი (58, 70)
მილანი: ჯიეცი, დავიდი, ჩ. მალდინი, ტრები, ბენიტესი, ტრაპატონი, პივატელი, სანი, ალტაფინი, რივერა, მორა
მწვრთნელი: ნერეო როკო
ბენფიკა: კოშტა პერეირა, კავემი, კრუზი, უმბერტო, რაული, კოლუნა, სანტანა, აუგუსტო, ტორეში, ეუსებიო, სიმოეში
მწვრთნელი: ჟოზე რიერა
მსაჯი: ჰოლანდი (ინგლისი)

## 1969. 28 მაისი. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ“. 31 000 მაყურებელი

### მილანი 4:1 აიაქსი

1:0, 2:0 პრატი (7, 40), 2:1 ვასოვიჩი (60პ), 3:1 სორმანი (67), 4:1 პრატი (75)
მილანი: ფ. კუდიჩინი, მალატრაზი, ანკილეტი, შნელინგერი, როზატო, ტრაპატონი, ლოდეტი, რივერა, ჰამრინი, სორმანი, პრატი
მწვრთნელი: ნერეო როკო
აიაქსი: ბალსი, სუურბიერი (მიულერი 46), ჰულშოფი, ვასოვიჩი, ვან დუივენბოდე, პრონკი, გროოტი (ნანინგა 46), სვარტი, კრუიფი, დანიელსონი, კაიზერი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
მსაჯი: დე მენდიბილი (ესპანეთი)

## 1989. 24 მაისი. ბარსელონა. „კამპ ნოუ“. 97 000 მაყურებელი

### მილანი 4:0 სტიაუა

1:0 გულიტი (17), 2:0 ვან ბასტენი (26), 3:0 გულიტი (38), 4:0 ვან ბასტენი (46)
მილანი: ჯ. გალი, ტასოტი, კოსტაკურტა (ფ. გალი 74), ბარეზი, პ. მალდინი, კოლომბო, რაიკარდი, ანჩელოტი, დონადონი, გულიტი (ვირდისი 60), ვან ბასტენი
მწვრთნელი: არიგო საკი
სტიაუა: ლუნგი, იოვანი, პეტრესკუ, ბუმბესკუ, უნგურიანუ, ჰაჯი, სტოიკა, მინია, როტარიუ (ბალაჩი 46), ლეკატუში, პიცურკა
მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ
მსაჯი: ტრიტშლერი (გფრ)

## 1990. 23 მაისი. ვენა. „პრატერი“. 57 500 მაყურებელი

### მილანი 1:0 ბენფიკა

1:0 რაიკარდი (68)
მილანი: ჯ. გალი, ტასოტი, კოსტაკურტა, ბარეზი, პ. მალდინი, კოლომბო (ფ. გალი 89), რაიკარდი, ანჩელოტი (მასარო 72), ევანი, გულიტი, ვან ბასტენი
მწვრთნელი: არიგო საკი
ბენფიკა: სილვინიო, ჟოზე კარლუში, ალდაირი, რიკარდო, სამუელი, ვიტორ პანეირა (ვატა 76), ვალდო, ტერნი, ერნანი, მაგნუსონი, პაშეკუ (ბრიტუ 66)
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
მსაჯი: კოლი (ავსტრია)

## 1994. 18 მაისი. ათენი. „სპიროს ლუისი“. 70 000 მაყურებელი

### მილანი 4:0 ბარსელონა

1:0, 2:0 მასარო (22, 45), 3:0 სავიჩევიჩი (47), 4:0 დესაი (59)
მილანი: როსი, ტასოტი, პანუჩი, ფ. გალი, პ. მალდინი (ნავა 84), ალბერტინი, დონადონი, დესაი, ბობანი, სავიჩევიჩი, მასარო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბარსელონა: სუბისარეტა, ფერერი, კუმანი, ნადალი, ბაკერო, გვარდიოლა, სერხი (კიკე 73), სტოიჩკოვი, ამორი, რომარიო, ბეგირისტაინი (ეუსებიო საკრისტანი 51)
მწვრთნელი: იოჰან კრუიფი
მსაჯი: დონი (ინგლისი)

## 2003. 28 მაისი. მანჩესტერი. „ოლდ ტრაფორდი“. 63 215 მაყურებელი

### მილანი 0:0დ.დ. (პენ. 3:2) იუვენტუსი

მილანი: დიდა, კოსტაკურტა (როკე ჟუნიორი 66), ნესტა, პ. მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (სერჟინიო 71), ზეედორფი, რუი კოშტა (ამბროზინი 87), შევჩენკო, ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ტუდორი (ბირინდელი 42), ფერარა, მონტერო, კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი (ზალაიეტა 66), ძამბროტა, დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მსაჯი: მერკი (გერმანია)

# ჩემპიონთა თასის ყველა ფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.06.56 | პარიზი | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 4:3 |
| 30.05.57 | მადრიდი | რეალი (ესპანეთი) — ფიორენტინა (იტალია) | 2:0 |
| 29.05.58 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — მილანი (იტალია) | 3:2 |
| 03.06.59 | შტუტგარტი | რეალი (ესპანეთი) — რეიმსი (საფრანგეთი) | 2:0 |
| 18.05.60 | გლაზგო | რეალი (ესპანეთი) — აინტრახტი (გფრ) | 7:3 |
| 31.05.61 | ბერნი | ბენფიკა (პორტუგალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 3:2 |
| 02.05.62 | ამსტერდამი | ბენფიკა (პორტუგალია) — რეალი (ესპანეთი) | 5:3 |
| 22.05.63 | ლონდონი | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 2:1 |
| 27.05.64 | ვენა | ინტერი (იტალია) — რეალი (ესპანეთი) | 3:1 |
| 27.05.65 | მილანი | ინტერი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 11.05.66 | ბრიუსელი | რეალი (ესპანეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | 2:1 |
| 25.05.67 | ლისაბონი | სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:1 |
| 29.05.68 | ლონდონი | მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბენფიკა (პორტუგალია) | 4:1 |
| 28.05.69 | მადრიდი | მილანი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 4:1 |
| 06.05.70 | მილანი | ფეიენოორდი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 02.06.71 | ლონდონი | აიაქსი (ჰოლანდია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 2:0 |
| 31.05.72 | როტერდამი | აიაქსი (ჰოლანდია) — ინტერი (იტალია) | 2:0 |
| 30.05.73 | ბელგრადი | აიაქსი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 15.05.74 | ბრიუსელი | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) | 1:1 |
| 17.05.74 | ბრიუსელი | ბაიერნი (გფრ) — ატლეტიკო (ესპანეთი) *გადათამაშება* | 4:0 |
| 28.05.75 | პარიზი | ბაიერნი (გფრ) — ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 2:0 |
| 12.05.76 | გლაზგო | ბაიერნი (გფრ) — სენტ ეტიენი (საფრანგეთი) | 1:0 |
| 25.05.77 | რომი | ლივერპული (ინგლისი) — მიონხენგლადბახი (გფრ) | 3:1 |
| 10.05.78 | ლონდონი | ლივერპული (ინგლისი) — ბრიუგე (ბელგია) | 1:0 |
| 30.05.79 | მიუნხენი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) | 1:0 |
| 28.05.80 | მადრიდი | ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — ჰამბურგი (გფრ) | 1:0 |
| 27.05.81 | პარიზი | ლივერპული (ინგლისი) — რეალი (ესპანეთი) | 1:0 |
| 26.05.82 | როტერდამი | ასტონ ვილა (ინგლისი) — ბაიერნი (გფრ) | 1:0 |
| 25.05.83 | ათენი | ჰამბურგი (გფრ) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 30.05.84 | რომი | ლივერპული (ინგლისი) — რომა (იტალია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 29.05.85 | ბრიუსელი | იუვენტუსი (იტალია) — ლივერპული (ინგლისი) | 1:0 |
| 07.05.86 | სევილია | სტიაუა (რუმინეთი) — ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0 (პენ. 2:0) |
| 27.05.87 | ვენა | პორტუ (პორტუგალია) — ბაიერნი (გფრ) | 2:1 |
| 25.05.88 | შტუტგარტი | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 0:0 (პენ. 6:5) |
| 25.05.89 | ბარსელონა | მილანი (იტალია) — სტიაუა (რუმინეთი) | 4:0 |
| 23.05.90 | ვენა | მილანი (იტალია) — ბენფიკა (პორტუგალია) | 1:0 |
| 29.05.91 | ბარი | ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — მარსელი (საფრანგეთი) | 0:0 (პენ. 5:3) |
| 20.05.92 | ლონდონი | ბარსელონა (ესპანეთი) — სამპდორია (იტალია) | 1:0დ.დ. (0:0) |
| 26.05.93 | მიუნხენი | მარსელი (საფრანგეთი) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 18.05.94 | ათენი | მილანი (იტალია) — ბარსელონა (ესპანეთი) | 4:0 |
| 24.05.95 | ვენა | აიაქსი (ჰოლანდია) — მილანი (იტალია) | 1:0 |
| 23.05.96 | რომი | იუვენტუსი (იტალია) — აიაქსი (ჰოლანდია) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 28.05.97 | მიუნხენი | ბორუსია (გერმანია) — იუვენტუსი (იტალია) | 3:1 |
| 20.05.98 | ამსტერდამი | რეალი (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) | 1:0 |
| 26.05.99 | ბარსელონა | მანჩესტერ იუნ. (ინგლისი) — ბაიერნი (გერმანია) | 2:1 |
| 24.05.00 | პარიზი | რეალი (ესპანეთი) — ვალენსია (ესპანეთი) | 3:0 |
| 23.05.01 | მილანი | ბაიერნი (გერმანია) — ვალენსია (ესპანეთი) | 1:1 (პენ. 4:2) |
| 15.05.02 | გლაზგო | რეალი (ესპანეთი) — ლევერკუზენი (გერმანია) | 2:1 |
| 28.05.03 | მანჩესტერი | მილანი (იტალია) — იუვენტუსი (იტალია) | 0:0 (პენ. 3:2) |
| 26.05.04 | გელზენკირხენი | პორტუ (პორტუგალია) — მონაკო (საფრანგეთი) | 3:0 |
| 25.05.05 | სტამბოლი | ლივერპული (ინგლისი) — მილანი (იტალია) | 3:3(პენ.3:2) |
| 17.05.06 | პარიზი | ბარსელონა (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი) | 2:1 |
| 11105 | მეცი-გენიონი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11106 | მონპელიე-გრენობლი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11107 | ნიორი-აიაჩო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11108 | ტუარი-შატორუ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11121 | ხიმკი-სპარტაკი მ | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11123 | ცსკა მ-ზენიტი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11125 | კრილია-დინამო მ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11126 | ყუბანი-ტომსკი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11127 | რუბინი-ენერგია | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11128 | ნალჩიკი-როსტოვი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11334 | აიაქსი-ალკმაარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12053 | ალბინოლეფე-ბარი | 1.60 | 2.00 |
| 12054 | ბრეშა-ვიჩენცა | 1.60 | 2.00 |
| 12055 | კროტონე-ფროზინონე | 1.70 | 1.90 |
| 12056 | ჯენოა-პესკარა | 2.40 | 1.40 |
| 12057 | იუვენტუსი-მანტოვა | 1.90 | 1.70 |
| 12058 | ლეჩე-ჩეზენა | 1.70 | 1.90 |
| 12059 | მოდენა-ტრიესტინა | 1.60 | 2.00 |
| 12060 | პიაჩენცა-სპეცია | 1.70 | 1.90 |
| 12061 | რიმინი-არეცო | 1.70 | 1.90 |
| 12062 | ტრევიზო-ბოლონია | 1.60 | 2.00 |
| 12063 | ვერონა-ნაპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12064 | ბილბაო-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 12065 | ბარსელონა-ხეტაფე | 2.10 | 1.55 |
| 12067 | სელტა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 12068 | ტარაგონა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 12069 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 12070 | რეალი-დეპორტივო | 2.10 | 1.55 |
| 12072 | უელვა-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 12073 | რასინგი-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 12074 | სევილია-სარაგოსა | 1.90 | 1.70 |
| 12076 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12089 | ლილი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 12090 | ლორიანი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 12091 | ლიონი-ნანტი | 1.70 | 1.90 |
| 12092 | მარსელი-სედანი | 1.70 | 1.90 |
| 12093 | მონაკო-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 12094 | ნიცა-ლე მანი | 1.70 | 1.90 |
| 12095 | სოშო-სტ-ეტიენი | 1.70 | 1.90 |
| 12096 | ტულუზი-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 12097 | ტრუა-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 12098 | ვალენსიენი-ოსერი | 1.70 | 1.90 |
| 12099 | ამიენი-ლე ავრი | 1.90 | 1.70 |
| 12100 | ბასტია-ისტრი | 1.90 | 1.70 |
| 12101 | ბრესტი-რეიმსი | 1.90 | 1.70 |
| 12102 | დიჟონი-სტრასბური | 1.90 | 1.70 |
| 12103 | გენგამი-კრეტეი | 1.90 | 1.70 |
| 12104 | ლიბურნი-კაენი | 1.90 | 1.70 |
| 12105 | მეცი-გენიონი | 1.90 | 1.70 |
| 12106 | მონპელიე-გრენობლი | 1.90 | 1.70 |
| 12107 | ნიორი-აიაჩო | 1.90 | 1.70 |
| 12108 | ტუარი-შატორუ | 1.90 | 1.70 |
| 12121 | ხიმკი-სპარტაკი მ | 1.55 | 2.10 |
| 12123 | ცსკა მ-ზენიტი | 1.60 | 2.10 |
| 12125 | კრილია-დინამო მ | 1.40 | 2.55 |
| 12126 | ყუბანი-ტომსკი | 1.40 | 2.50 |
| 12127 | რუბინი-ენერგია | 1.50 | 2.30 |
| 12128 | ნალჩიკი-როსტოვი | 1.40 | 2.40 |
| 12334 | აიაქსი-ალკმაარი | 2.20 | 1.50 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
## (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13053 | ალბინოლეფე-ბარი | 1.70 | 1.90 |
| 13054 | ბრეშა-ვიჩენცა | 1.70 | 1.90 |
| 13055 | კროტონე-ფროზინონე | 1.70 | 1.90 |
| 13057 | იუვენტუსი-მანტოვა | 1.90 | 1.70 |
| 13058 | ლეჩე-ჩეზენა | 1.60 | 2.00 |
| 13059 | მოდენა-ტრიესტინა | 1.70 | 1.90 |
| 13060 | პიაჩენცა-სპეცია | 1.70 | 1.90 |
| 13061 | რიმინი-არეცო | 1.70 | 1.90 |
| 13062 | ტრევიზო-ბოლონია | 1.70 | 1.90 |
| 13063 | ვერონა-ნაპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13064 | ბილბაო-მალიორკა | 1.70 | 1.90 |
| 13065 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.90 | 1.70 |
| 13067 | სელტა-ბეტისი | 1.70 | 1.90 |
| 13068 | ტარაგონა-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13069 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | რეალი-დეპორტივო | 1.90 | 1.70 |
| 13072 | უელვა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 13073 | რასინგი-ლევანტე | 1.70 | 1.90 |
| 13074 | სევილია-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13089 | ლილი-რენი | 1.70 | 1.90 |
| 13090 | ლორიანი-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13091 | ლიონი-ნანტი | 1.95 | 1.65 |
| 13092 | მარსელი-სედანი | 1.95 | 1.65 |
| 13093 | მონაკო-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13094 | ნიცა-ლე მანი | 1.90 | 1.70 |
| 13095 | სოშო-სტ-ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13096 | ტულუზი-ბორდო | 1.70 | 1.90 |
| 13097 | ტრუა-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13098 | ვალენსიენი-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13099 | ამიენი-ლე ავრი | 1.90 | 1.70 |
| 13100 | ბასტია-ისტრი | 1.90 | 1.70 |
| 13101 | ბრესტი-რეიმსი | 1.90 | 1.70 |
| 13102 | დიჟონი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13103 | გენგამი-კრეტეი | 1.70 | 1.90 |
| 13104 | ლიბურნი-კაენი | 1.90 | 1.70 |
| 13105 | მეცი-გენიონი | 1.90 | 1.70 |
| 13106 | მონპელიე-გრენობლი | 1.90 | 1.70 |
| 13107 | ნიორი-აიაჩო | 1.90 | 1.70 |
| 13108 | ტუარი-შატორუ | 1.70 | 1.90 |
| 13121 | ხიმკი-სპარტაკი მ | 1.70 | 1.90 |
| 13123 | ცსკა მ-ზენიტი | 1.70 | 1.90 |
| 13125 | კრილია-დინამო მ | 1.70 | 1.90 |
| 13126 | ყუბანი-ტომსკი | 1.70 | 1.90 |
| 13127 | რუბინი-ენერგია | 1.90 | 1.70 |
| 13128 | ნალჩიკი-როსტოვი | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14054 | ბრეშა-ვიჩენცა | 1.45 | 2.40 |
| 14057 | იუვენტუსი-მანტოვა | 1.30 | 2.50 |
| 14059 | მოდენა-ტრიესტინა | 1.65 | 2.30 |
| 14060 | პიაჩენცა-სპეცია | 1.45 | 2.40 |
| 14061 | რიმინი-არეცო | 1.30 | 2.50 |
| 14062 | ტრევიზო-ბოლონია | 1.90 | 1.90 |
| 14063 | ვერონა-ნაპოლი | 1.90 | 1.90 |
| 14064 | ბილბაო-მალიორკა | 1.45 | 2.40 |
| 14065 | ბარსელონა-ხეტაფე | 1.08 | 2.90 |
| 14067 | სელტა-ბეტისი | 1.80 | 2.00 |
| 14068 | ტარაგონა-ატლეტიკო | 2.30 | 1.65 |
| 14069 | ოსასუნა-სოსიედადი | 2.00 | 1.80 |
| 14070 | რეალი-დეპორტივო | 1.08 | 2.90 |
| 14072 | უელვა-ესპანიოლი | 1.65 | 2.30 |
| 14073 | რასინგი-ლევანტე | 1.75 | 2.10 |
| 14074 | სევილია-სარაგოსა | 1.30 | 2.50 |
| 14076 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.30 | 2.50 |
| 14089 | ლილი-რენი | 2.00 | 1.80 |
| 14090 | ლორიანი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 14091 | ლიონი-ნანტი | 1.20 | 2.60 |
| 14092 | მარსელი-სედანი | 1.20 | 2.60 |
| 14093 | მონაკო-ნანსი | 1.65 | 2.30 |
| 14094 | ნიცა-ლე მანი | 1.75 | 2.10 |
| 14095 | სოშო-სტ-ეტიენი | 1.70 | 2.20 |
| 14096 | ტულუზი-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 14097 | ტრუა-ლანსი | 2.50 | 1.30 |
| 14098 | ვალენსიენი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 14099 | ამიენი-ლე ავრი | 1.20 | 2.60 |
| 14100 | ბასტია-ისტრი | 1.45 | 2.40 |
| 14101 | ბრესტი-რეიმსი | 1.30 | 2.50 |
| 14102 | დიჟონი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 14103 | გენგამი-კრეტეი | 2.00 | 1.80 |
| 14104 | ლიბურნი-კაენი | 2.50 | 1.30 |
| 14105 | მეცი-გენიონი | 1.30 | 2.50 |
| 14106 | მონპელიე-გრენობლი | 1.30 | 2.50 |
| 14107 | ნიორი-აიაჩო | 1.30 | 2.50 |
| 14108 | ტუარი-შატორუ | 1.95 | 1.85 |
| 14121 | ხიმკი-სპარტაკი მ | 2.30 | 1.65 |
| 14123 | ცსკა მ-ზენიტი | 1.80 | 2.00 |
| 14125 | კრილია-დინამო მ | 1.80 | 2.00 |
| 14126 | ყუბანი-ტომსკი | 1.75 | 2.10 |
| 14127 | რუბინი-ენერგია | 1.45 | 2.40 |
| 14128 | ნალჩიკი-როსტოვი | 1.75 | 2.10 |
| 14334 | აიაქსი-ალკმაარი | 1.70 | 2.20 |

# წავედი!

## ქართულ ჭიდაობას ორგზის მსოფლიო ფალავანი დაემშვიდობა



ლუკა კურტანიძე აქტიურ სპორტს გამოეთხოვა! ეს ამბავი გუშინ თავად გამოგვიცხადა. არადა, გუშინ კურტანიძე სეოკ-ის ალმასკომის დასასრულს გერმანიაში გამართული სოკ-ის სპორტული კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე გვიამბობდა. მაშინ თავისი გადაწყვეტილების შესახებ მინიშნებითაც კი არაფერი უთქვამს. მერე, სიტყვა რომ დაასრულა, განცხადებისთვის ყურადღება ითხოვა. ელდარ კურტანიძეს მრავალ თავყრილობაზე არაერთი სიტყვა კოხტად, ხატოვნად და ლაზათიანად უთქვამს, მრავალი განცხადება გაუკეთებია, მაგრამ გუშინ პირველად მოხდა, რომ სათქმელი ქაღალდის დახმარებით თქვა. დარბაზი სულგანაბული უსმენდა ჩემპიონს, ზოგს თვალზე ცრემლიც მოადგა, ის კი მშვიდად და აუღელვებლად კითხულობდა და კითხულობდა. ოღონდ ეს გარეგნულად ჩანდა ასე, თორემ მის გულში რა გრძნობა ტრიალებდა...

## ცხელ გულზე ჩამორთმეული გაუთვალისწინებელი და სახელდახელო ინტერვიუ ლუკა კურტანიძესთან

— მაინც, რამ გადაგაწყვეტინათ სარბიელთან განშორება?

— აბა, რა გითხრათ, ზოგი ითქმის, ზოგი არა.

— რაც ითქმის, ის რა არის?

— ჯობია, ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

— როდის გადაწყვიტეთ სპორტთან განშორება?

— ამაზე დიდი ხნის წინათ დავიწყე ფიქრი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ალექსანდრე ჩივაძე სპორტს გამოეთხოვა. ინტერვიუში წავიკითხე, მე ჩემი ტანგო უკვე ვიცეკვეო. იმ დროს არაფერი ტიტულები არ მქონდა და პატარა ბიჭი ვიყავი. როგორც სპორტსმენს, წინ დიდი გზა მედო, მაგრამ უკვე სარბიელთან განშორებაზე ვფიქრობდი: ვფიქრობდი, ნეტა როგორი იქნება-მეთქი ეს დღე.

— და მაინც, როდის გადაწყვიტეთ, რომ ეს დღე მოვიდა?

— წუხელ! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და ამაზე ვფიქრობდი.

— ეგ როგორ, ასე მოულოდნელად რამ გადაგაწყვეტინათ წასვლა?

— რატომ მოულოდნელად, აკი გითხარით, ამ დღეზე კარიერის დასაწყისშივე ვფიქრობდი-მეთქი. ბოლო დღეებში ამაზე სულ მეტს ვფიქრობდი, წუხელ კი საბოლოოდ გადავწყვიტე.

— შინ რა გითხრეს?

— შინ ჯერ არ იციან. წუხელ რამდენჯერმე მკითხეს, რა გჭირს, რაზე ფიქრობ, რატომ არ იძინებო. მერე კალამი ავიღე და სპორტთან გამოსათხოვარი სიტყვის წერა დავიწყე. ახლა ამაზე გადამეკიდნენ, კი მაგრამ, ამ შუაღამისას რა წერა აგიტყდაო. ვუთხარი, ხვალ ალმასკომია და გერმანიაში სპორტული კომისიის მუშაობის თაობაზე ანგარიშს ვამზადებ-მეთქი.

— გამოდის, რომ შენი გადაწყვეტილებას ოჯახის წევრები და ახლობლები ტელევიზიითა და გაზეთებით შეიტყობენ?

— ასე გამოდის.

— მიდიხარ და ალბათ გული გწყდება...

— რა თქმა უნდა, მაგრამ კაცმა უნდა იცოდეს, როდის გამოეთხოვოს სპორტს.

— ყველაზე მეტად რაზე გწყდება გული?

— მინდოდა, მსოფლიოს ჩემპიონი წლეულს შემოდგომაზე მესამედაც გავმხდარიყავი, მაგრამ... ვინ იცის, სარბიელს მიღმა მყოფმა კაცმა იქნებ ჭიდაობისთვის მეტის გაკეთება შევძლო, ჩემი წონა კი, მჯერა, ფრთამოტეხილივით არ დარჩება. ამ წონაში ნამდვილად ღირსეული ბიჭები არიან. თუ ჩემი ცოდნა და გამოცდილება ვინმეს დასჭირდება, ყველას მხარში ამოვუდგები.

— წუხელ, ალბათ, მთელი შენი სპორტული კარიერა გაიხსენე. მაინც, რომელი დღე იყო ყველაზე ნათელი, ყველაზე ბედნიერი და სასიხარულო.

— ეს დღე 2002 წელს მქონდა თეირანში, როცა მსოფლიოს ჩემპიონი პირველად გავხდი. ფინალში მასპინძელთა ყოჩი ალი რეზა ჰეიდარი ოცი ათასი ირანელის თვალწინ დავამარცხე. სიხარულით ლამის გავგიჟდი კაცი. ირანში ჩემპიონობა ყველაზე ძნელია. ჩემამდე ქართველთაგან ეს მხოლოდ ორმა შესძლო — გიორგი სხირტლაძემ და ლევან თედიაშვილმა. თეირანში ტაქსტები ფულს არ მახდევინებდნენ. იქაურები თავისიანს წარმოუდგენლად ქომაგობენ, მაგრამ როცა მე გავიმარჯვე, ჩემი გულშემატკივრები გახდნენ. ქუჩაში ყველა მცნობდა, ყველა ჩემთან მოდიოდა, ხელს მართმევდა და მხარზე ხელს მიტყაპუნებდა. აი, ეს მართლაც ყველაზე ბედნიერი დღე იყო.

— წუხელ, ალბათ, მწარე მოგონებებიც გექნებოდა.

— ეს დღე ათენში იყო, ოლიმპიურ თამაშებზე. ორი ოლიმპიური ბრინჯაოს მერე კაცი ოქროზე ვფიქრობდი. მეგონა, ჩემპიონობას ვერავინ შემეცილებოდა, მაგრამ, კაცი ბჭობდაო და... იმ დღის გახსენებაც არ მინდა.

— დღეიდან ვეტერანი სპორტსმენი იქნები. საქართველოს ოლიმპიური ფონდის შეწევნით ვეტერანი ოლიმპიელები პენსიებს ღებულობენ, მაგრამ ბადრი პატარკაციშვილმა ბრძანა, ლუკა კურტანიძეს ოლიმპიური სტიპენდია სრულად შეუნარჩუნეთო. თუმცა, ამგვარი სტიპენდია მუდმივად ხომ არ გექნება. ალბათ იმაზეც იფიქრე, რა იქნება ხვალიდან. მაინც რას აპირებ?

— რა ვიცი, ვნახოთ. ამაზე ჯერ არ მიფიქრია. ისე კი, თბილისში, ფალავანთა კლუბში გვიან საღამოს, ვარჯიშების მერე დარბაზი თავისუფალია. თუ ნებას მომცემენ, ერთ ხუთ წელიწადს რიგით მწვრთნელად ვიმუშავებდი, მერე კი სხვა გზას ვეწევი, ბატონ ბადრის გადაწყვეტილება კი ჩემთვის მეტად სასიამოვნო სიურპრიზია.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# სრული სვლით და გუნდებით

## პეკინისთვის ძიუდოისტები და მოჭიდავეები არ უნდა დავიკლოთ

**ლუკა კურტანიძე** ყოველივე ამას რომ გვპასუხობდა, ლამის ყოველი წინადადების მერე თავისი გადაწყვეტილების გამო ათას ბოდიშს გვიხდიდა. ბოდიშებად დაიღვარა ალმასკომის სხდომაზეც. ასე იყო იმ მწარე დღესაც, ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მარცხის გამო, მაგრამ ამ კაცს რა აქვს საბოდიშო, როცა ზღვა სიხარული მოჰქონდა ხალხისთვის.

ჰოდა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ლუკა კურტანიძის ტიტულები: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის მესამე პრიზიორი, ამას გარდა, არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებებიდან კი რომელი ერთი გავიხსენოთ...

ამ წარმატებების გამო იყო მსოფლიოს ნაკრების წევრი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმის შედეგად კი სამჯერ (1996, 2002, 2003 წლებში) დასახელდა, ჩვენი ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენად.

„ყოველივე ამას დიდი შრომისა და ოფლისღვრის ფასად მივაღწიე. ეს ამად ღირდა და ყოველივეს თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, იგივე გზას გამოვივლიდი" — გვითხრა ლუკა კურტანიძემ, რომლის მოულოდნელმა განცხადებამ ლამის გადაგვავიწყა ის საქმე, რისთვისაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის რეზიდენციას ვეწვიეთ.

როგორც თავში მოგახსენეთ, ეს იყო ალმასკომის გაფართოებული სხდომა, რომელსაც მის წევრთა გარდა ესწრებოდნენ საქართველოს სპორტის ხელმძღვანელები, წამყვან სახეობათა ფედერაციების მეთაურები, მწვრთნელები, სპორტსმენები...

თავდაპირველად წლეულს თავგამოჩენილ ჩვენს ძიუდოისტებს, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ოსტატებს მიულოცეს მიმდინარე სეზონში მოპოვებული წარმატებები, დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს თბილისის ვიცე-მერი გიორგი მელაძე, ვინც თბილისის ოლიმპიური კომიტეტის მეთაურად აირჩიეს, შემდეგ კი „დღის წესრიგის" მიხედვით მუშაობაც დაიწყო. ერთ-ერთი მთავარი თემა იყო გაისად პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების საკითხები. ითქვა, რომ ყველაფერი დასახული პროგრამით მიმდინარეობს, ჭიდაობისა და ძიუდოს ნაკრებთა უფროსი მწვრთნელები იმედოვნებენ, რომ მათი შეგირდები ყველა წონით კატეგორიაში ლიცენზიებს მოიპოვებენ და ჩინეთის დედაქალაქში სრული გუნდებით გამოვლენ, ოლიმპიადაზე სრული გუნდით გამოსვლის ბედნიერება კი მხოლოდ ერთეულ ქვეყნებს ექნებათ. აქედან გამომდინარე, მწვრთნელები იმედით შეჰყურებენ წლეულს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატებს, მანამდე კი ალმასკომის წევრებმა წარმატებულად მიიჩნიეს წლევანდელი სეზონის პირველი ნახევარი, რაც ევროპის ჩემპიონატებზე ჩვენი სპორტსმენების მედლებით დაგვირგვინდა.

ალმასკომის სხდომამ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციის მისიის ხელმძღვანელად, ისე როგორც ათენში, კვლავ დაამტკიცა სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით ითქვა ისიც, რომ საქართველოს სპორტული ეკიპირების შესახებ ხელსაყრელი პირობებით გაფორმდა ხელშეკრულება იაპონურ კომპანია „მიზუნოსთან". რაც შეეხება ოლიმპიადის გახსნის და დახურვის ცერემონიალებზე ჩვენი ქვეყნის დელეგაციის ცივილურ ეკიპირებას, მიღწეული შეთანხმების საფუძველზე უახლოეს პერიოდში გაფორმდება ხელშეკრულება სამოდელო კომპანია „ავთანდილთან".

ითქვა ისიც, რომ პეკინში საქართველოს საელჩოსთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა ოლიმპიადის დღეებში ჩინეთის დედაქალაქში „ქართული სახლის" დაფუძნებასთან დაკავშირებით.

გუშინდელ სხდომაზე საკმაო დრო დაეთმო ამ ზაფხულს ბელგრადში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადების საკითხებს. გვაცნობეს, რომ ფესტივალში სპორტის შვიდ სახეობაში 28 მონაწილე გვეყოლება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**




ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძე, „სახალხო ბანკის“ პრეზიდენტი გიორგი გოგუაძე და კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი

# სახალხო ბანკს ქართულ სპორტში კარგი ფეხი აქვს

## კალათბურთმა სპონსორი გამოიცვალა

**ქართულ კალათბურთს** ახალი სპონსორი ჰყავს — აქამდელი „მაგთი“ „სახალხო ბანკმა“ შეცვალა. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ მთელი საკალათბურთო ბომონდი შეიკრიბა, რომელიც მოწმე გახდა იმ ხელშეკრულებისა, კალათბურთის ფედერაციამ და „სახალხო ბანკმა“ რომ გააფორმეს.

ახალ სპონსორთან შესახვედრად ფედერაციამ მთელ ნაკრებს უხმო. ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი და საქართველოს ჩემპიონატის წამყვანი მოთამაშეები — მათ ნაკრების ახალი სპონსორი გაიცნეს და ხელშეკრულების საზეიმო გაფორმებასაც დაესწრნენ.

ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა იქ მყოფთ გამოგვიცხადა, რომ ამიერიდან ეროვნულ ნაკრებთან ერთად სუპერლიგას ახალი სპონსორი ეყოლება — „სახალხო ბანკი“.



ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია

სანამ ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდებოდა, „სახალხო ბანკის“ პრეზიდენტმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა:

„ქართულ კალათბურთში ჩვენი მოსვლა დიდი პასუხისმგებლობაა. „სახალხო ბანკი“ სპორტში აქტიურად არის ჩართული და არაერთ სპორტის სახეობას აფინანსებს. ძიუდო, ჭიდაობა, სამბო, თხილამურობა — ამ სპორტის სახეობებს ახლა კალათბურთიც შეემატა. სხვათა შორის, სადაც ჩვენ ფული ჩავდეთ, ყველა სპორტის სახეობამ გაამართლა და მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. იმედი მაქვს, რომ კალათბურთშიც ასე იქნება და ჩვენი ნაკრები დასახულ მიზანს მიაღწევს. მე მინდა, რომ ჩვენი თანამშრომლობა იყოს შედეგიანი. „სახალხო ბანკს“ კარგი ფეხი აქვს სპორტში და ვინატრებდი, რომ კალათბურთშიც ისეთივე წარმატებებს მივაღწიოთ, როგორც ძიუდოში, ჭიდაობაში და სხვა იმ სპორტის სახეობებში, რომლებსაც ჩვენ ვაფინანსებთ.“

„სახალხო ბანკი“ ნაკრებთან ერთად ეროვნული ჩემპიონატის სპონსორიც იქნება. ეს კომპანია გაიღებს ყველა იმ სახსარს, რომელიც ქართული კალათბურთის ასაღორძინებლად იქნება საჭირო.




საქართველოს ნაკრების მიმავალი და მომავალი ვარსკვლავები, ვახტანგ ნაცვლიშვილი და გიორგი შერმადინი

ფედერაციის „სახალხო ბანკთან“ ხელშეკრულება ერთ სეზონს გასწვდება. ანუ ბანკირები დააფინანსებენ ეროვნულ ნაკრების უცხოურ ვოიაჟებსა და ეროვნულ ჩემპიონატს. თუკი ჩვენი ნაკრები წარმატებას მიაღწევს, თანამშრომლობა გაგრძელდება და გიორგი გოგუაძემაც სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება — „ჩვენი მიზანი ქართული კალათბურთის წინსვლაა და თუკი საქართველოს ნაკრები წარმატებას მიაღწევს, თანამშრომლობა ავტომატურად გაგრძელდება.“

**ირაკლი პერტაია**

---

**პლეი ოფი თავისი გზით მიდის, 4 შემორჩენილი გუნდი კონფერენციის ფინალებში არკვევს მჯობნს, საჩემპიონო ბრძოლის ჩამოცილებულები კი მომავალი სეზონისთვის ნიადაგს იმზადებენ. ამ დღეებში რამდენიმე გუნდს მთლად თავში შეეხო ცვლილება — ვინ გაუშვა მთავარი მწვრთნელი, ვინ დაიტოვა, სხვამ კი ახალი აიყვანა**

## ორლანდომ ჰილი გაუშვა



**ფლორიდულ** კლუბში კარგა ხანია, ლაპარაკობდნენ „მეჯიქის“ თავკაც ბრაიან ჰილის გაშვება-დატოვებაზე და ბოლოს ისევ მისი გაშვება გადაწყვიტეს.

„შეუფასებელია ჰილის დამსახურება ჩვენი კლუბის წინაშე — უკვე მოხსნილ მწვრთნელს აქებს და ადიდებს „ორლანდოს“ პრეზიდენტი ბობ ვან დერ ვეიდე — იმედს გამოვთქვამთ, რომ ბრაიანი კლუბში რაიმე თანამდებობაზე დარჩება.“

ბრაიან ჰილი 1988 წელს დაარსებული ამ კლუბის არცთუ ხანგრძლივ ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელია. „მეჯიქში“ მისი მუშაობაა „ჯადოთა“ მასთლაც ჯადოსნურ ხანას დაემთხვა — 1995 წელს „ორლანდო“ დიდ ფინალში გავიდა, ერთი წლის შემდეგ კი ფლორიდელებმა აღმოსავლეთის ფინალს უწიეს. ის „ორლანდო“ მართლაც მძლავრი გუნდი იყო და ისეთ სუპერმოთამაშეებზე იდგა, როგორებიც იყვნენ შაკილ ონილი და ანფერნი ჰარდევეი. მაგრამ 1996 წელს შაკილი „ლეიკერსში“ გადაბარგდა და გუნდმაც უკანდახევა იწყო. უკან წავიდა ჰილის საქმეც. 1997 წლის დასაწყისში მას შეგირდები აუჯანყდნენ მამლაყინწა 3 არდევეის ბოცმანობით და მასაც ისღა დარჩენოდა, წასულიყო.

ჰილი „ორლანდოში“ 2005 წელს დაბრუნდა და ორი სრული სეზონი გაატარა აქ. პირველში ვერა, მაგრამ მეორეში ანუ წლეულს „ჯადოები“ პლეი ოფში გაიყვანა. აქ „ორნალდო“ ორიოდ კვირის წინ 0:4 დამარცხდა „დეტროიტთან“ და ბრაიან ჰილსაც მეორედ მოუხდა ამ სკამიდან ადგომა.

## მინესოტამ უიტმენი დაიტოვა



**„მინესოტას“** ვიცე-პრეზიდენტმა კევინ მაკჰეილმა რენდი უიტმენი „მგლების“ გამწვრთნელის სკამზე დატოვა. ამ კაცს ნახევარ სეზონში გუნდი არ აუყვავებია, პირიქით, უფრო დაუვარდა შედეგი, ვიდრე მის წინამორბედს, მაგრამ მაკჰეილმა გულში მისი ნდობა ჩაიდო და მრავალწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა.

მაკჰეილმა შუა სეზონში დაითხოვა დუეინ კეისი, რომელსაც რეგულარულის 40 პირველი თამაშიდან 20 მოეგო და 20 წაეგო. უიტმენმა უკეთ ვერ მართა ეს საჭემორყეული გემი, დარჩენილი 42 თამაშიდან მხოლოდ 12 მოიგო და 30 წააგო, „მინესოტაც“ ზედიზედ მესამედ ვერ მოხვდა პლეი ოფში, მაგრამ როგორც ვხედავთ, უიტმენი სკამზეა, კეისი კი სამსახურს ეძებს.

## ჰიუსტონმა ადელმანი აიყვანა



**ოთხი წელი** იმუშავა ჯეფ ვან განდიმ „ჰიუსტონში“ და „რაკეტები“ ერთხელაც ვერ იხეირა პლეი ოფში. არადა, წლეულს პირველ რაუნდში „ჰიუსტონს“ „იუტას“ ძლევის კარგი შანსი ჰქონდა, მაგრამ 2:0 დაწინაურების შემდეგ 3:4 წააგო და ვან განდიც ამ მარცხს გადაყვა.

ახლა კი მის ადგილს უფრო გამოცდილი სპეციალისტი რიკ ადელმანი დაიჭერს. კლუბის მფლობელი ლეს ალექსანდერს იმედი აქვს, რომ ადელმანის ხელში „როკიტსის“ ორი სუპერვარსკვლავი — ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინი უფრო გაიხსნებიან და თავიანთ შემტევ პოტენციალს განავითარებენ. ადელმანი ხომ ამითაა ცნობილი — მისი გუნდები ბედს და წარმატებას მეტოქის ნახევარზე ეძებენ. ეს კაცი 8 წელი წვრთნიდა „საკრამენტოს“ და ამ გუნდის პლეი ოფში გასვლა-არგასვლა არასდროს გამხდარა სათუო, პირიქით, „საკრამენტო“ სულ ფავორიტებში იყო და ბევრი თვლის, რომ 2002 წელს დასავლეთის ფინალში „ლეიკერსთან“ მსაჯებს რომ არ „დაეწვათ“, დიდ ფინალში გავიდოდა და იქაც ჩემპიონობის კარგი შანსი ექნებოდა.

**კოტე ყორშია**

ძიუდო

# წონები გარჩევით და ამორჩევით

## ხაბარელის შვიდეული შვიდ ლიცენზიას უმიზნებს

პეკინის ოლიმპიადაზე მოსახვედრად საჭირო ქულების დაგროვება ძიუდოისტებმა აპრილის დასაწყისში, ევროპის ჩემპიონატზე დაიწყეს. სალიცენზიო ეტაპში ამ გაზაფხულზევე ჩატარებული მსოფლიოს სამი სუპერთასი და თასიც შევიდა და ჩინეთში წამსვლელთა სავარაუდო სიაში ლიდერებიც გამოიკვეთნენ. ოლიმპიურ ტატამზე მოხვედრა გარანტირებული ჯერ არავის აქვს, თუმცა რამდენიმე მიზანთან ახლოსაა. სალიცენზიო ტურნირები შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განახლდება და მათ რიცხვში თბილისის მსოფლიოს თასიც შევა. თავად მსოფლიოს პირველობის ჩემპიონ-პრიზიორებს კი პეკინის საგზურები პირდაპირ გადაეცემათ.

საგაზაფხულო ეტაპის შემდეგ ცხრილში ისეთი მდგომარეობაა, მომავალ წელს შოთა ხაბარელს შვიდი ოლიმპიელი შეგირდი უნდა ჰყავდეს. ქვემოთ კი თითოეულ წონით კატეგორიაზე და ჩვენებურზე გეტყვით

### 60 კგ

უმსუბუქესი წონის სალიცენზიო რეიტინგსიაში სამი ქართველია და მათგან საუკეთესო მაჩვენებელი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორ ნესტორ ხერგიანს აქვს. ბელგრადული საპრიზოსთვის მიღებულ 40 ქულას ნესტორმა მოსკოვის მსოფლიოს სუპერთასზე და ბუქარესტის მსოფლიოს თასზე 16 და 60 დაამატა და მხოლოდ 150-ქულიან სომეხს, ჰოვანეს დავთიანს ჩამორჩება. ამასთან, ხერგიანს საქართველოს ნაკრებში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. ამავე წონაში ვახტანგ ხოსიტაშვილი მეთოთხმეტე ადგილზეა 20 ქულით, დავით ასუმბანი (2) კი ოცდამეთექვსმეტე პოზიციაზეა.

### 66 კგ

ევროპის ორგზის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა ბელგრადული ოქროს მედლით 100 ქულა მიითვალა, მაგრამ მერე ტურნირებზე მხოლოდ ერთხელ აიღო სალიცენზიო ქულები და ისიც ჩვეულზე ერთი წონით მაღლა. მარაგი და რეიტინგი ზაზას რამდენიმე დღის წინ, რუმინეთში უნდა გაეუმჯობესებინა, მაგრამ ტატამზე მცირე ტრავმამ არ გაუშვა და ახლა მესამე ადგილზეა ჰოლანდიელი დექს ელმონისა (170) და უნგრელი მიკლოშ უნგვარის (112) შემდეგ. ხაბარელის გუნდის ახალბედა სანდრო იაკობაშვილი (4) კი ოცდამეთხუთმეტე პოზიციაზეა.

### 73 კგ

ამ წონის ბატონ-პატრონი დავით ქევხიშვილიც ტრავმამ გამოაკლო ბუქარესტულ მსოფლიოს თასს. იქამდე კი ევროპირველობაზე, ვიცეჩემპიონობით მონაგრებულ 60 ქულას რომში 6 წაამატა და მსოფლიო რეიტინგში მეხუთეა. ლიდერი კი თურქი სეზარ ჰუისუზია (116). აქვე ათქულიანი და ოცდამეერთე ადგილოსანი კედელაშვილიც ვახსენოთ.

### 81 კგ

სალიცენზიო ცხრილში სამი ქართველია, მაგრამ რიცხობრივი სიუხვის მიუხედავად ხაბარელს შედარებით მეტი ნერვიულობა მოუწევს, ვიდრე სხვა წონებში. გიორგი ბაინდურაშვილი (36), საბა გავაშელიშვილი (10) და გრიგოლ შინჯიკაშვილი (8) მეათე, მეცამეტე და ოცდამეორე პოზიციებზე დგანან. სავარაუდოდ შემოდგომიდან ამ ტრიოს წონის ექსლიდერი გრიგოლ მამრიკიშვილიც შეუერთდება და სერიოზული შიდა კონკურენციაც გაჩაღდება. რეიტინგსიის ლიდერი კი ბრიტანელი იან ბარტონია (134).

### 90 კგ

ევროპის ვერცხლოსანმა ირაკლი ცირეკიძემ ყულაბა რომში და ბუქარესტშიც გაამდიდრა და ამჟამად 90 ქულით მხოლოდ სამ ევროპელს ჩამოუვარდება. პირველ ადგილზე მყოფი ჯარჯი ზვიადაური კი სალიცენზიო რეიტინგსიის უმთავრესი ფავორიტია. საბერძნეთის სახელით მოჭიდავე მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონს უკვე 176 ქულა აქვს და 2008 წლის ზაფხულამდე სულ რომ აღარ გავიდეს ტატამზე, პეკინის საგზურს ალბათ მაინც მოიპოვებს. რაც შეეხება ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონს, ზურაბ ზვიადაურს, მხოლოდ რომში აღებული ბრინჯაო და 20 ქულა უმაგრებს ზურგს. ზვიადაური ჯერჯერობით მეცამეტე ადგილზეა და, აქედანვე გადაწყვეტილია, რომ სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს. პეკინის საგზურისთვის ბრძოლაში ზვიადაური საერთაშორისო ტურნირებიდან ჩაერთვება, იქამდე კი ხერხემლის სერიოზული ტრავმის მოშუშებას ეცდება.

### 100 კგ

ქართულ შიდა კონკურენციაში ამ წონაშიც განსაკუთრებული დაძაბულობაა მოსალოდნელი. პეკინში წასვლის მეტ-ნაკლებად თანაბარი შანსი ოთხ ძიუდოისტს აქვს და ამ ეტაპზე მათ შორის ლევან რაზმაძეა დაწინაურებული. მოსკოვის სუპერთასის მომგები ქართველი 90 ქულით მხოლოდ უნგრელ ევროპის ჩემპიონ დანიელ ჰადფისა (142) და აზერბაიჯანელ მოვლუდ მირალიევს (100) ჩამოუვარდება. ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ლევან ჟორჟოლიანი (46) მეცხრეა, გიორგი ყიზილაშვილი და ნოდარ მეტრეველი კი 4-4 ქულით ოცდაათეულის ბოლოს დგანან.

### +100 კგ

ევროპის ვიცეჩემპიონობისთვის მიღებული 60 ქულით ლაშა გუჯეჯიანი ხუთეულს აგვირგვინებს და სამი ადგილით უსწრებს 46-ქულიან ზვიად ხანჯალიაშვილს. ხოლო ადამ ოქრუაშვილი (14) მეჩვიდმეტე ადგილზეა. მძიმეწონოსანთა პირველკაცი გერმანელი ანდრეას ტოლცერია (130), რომელსაც კვალში ფრანგი ტედი რინერი (100) და რუსი ტამერლან ტმენოვი (90) უდგანან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ნესტორ ხერგიანმა ოლიმპიადა თითქმის გაინაღდა

სუმო



# ტიოტაი-კაი ტური

**მაისის** ბაშოს მეთორმეტე ტურში კოკაიმ მესამე ქულა მოიპოვა, ოღონდ ისე, რომ საამისოდ არავისთან დაჭიდება არ დასჭირვებია. ლევან ცაგურია გუშინ კატასტროფულ ბალანსიან კაკიძოეს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ამ აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირამ დოხიოზე გასვლა თავად აღარ ისურვა, აქაოდა, აქამდე რომ ყველამ მაჯობა, მუხლის ტრავმის ბრალია და დროზე უნდა ვიმკურნალოვო.

ფინიშამდე სამი დღით ადრე ჩვენებურს ექვსქულიანი მინუსბალანსი აქვს და მაქსიმუმი, რაც „შავ ზღვას“ კოკუგიკანური ბაშოს დასრულებამდე შეუძლია, მინუსების სამამდე შემცირება იქნება. მეცამეტე ტურში კოკაის მეტოქე ექსსეკივაკე ტამანოსიმაა. ჩვენთვის საინტერესო ამბით დავიწყეთ, თორემ გუშინ სუმოში ამბები მოხდა, მთელი თხუთმეტტურა შეჯიბრის ბედი რომ თითქმის გადაწყვიტა. 22 წლის მონღოლმა ოძეკი ხაკუხომ უახლოესი მდევარი, პლანეტის ერთადერთი მოქმედი იოკოძუნა ასასიორუ ორი ქულით ჩამოიტოვა და იმპერატორის თასის ზედიზედ მეორედ მოგებაზე სერიოზული განაცხადიც გააკეთა.

ხაკუხომ წაუგებელი სვლა ბალკანელი გულივერის კოტოოსიუს წაქცევით გააგრძელა და ლიდერობის გამტკიცებაზე ბევრად მნიშვნელოვანი საქმის მოსამთავრებლად მორიგი დიდი ნაბიჯი გადადგა — ეს საქმე კი იოკოძუნას წოდების მოპოვებაა. მარტის ბაშოზე ნაჩემპიონებ მონღოლს სუმოს შეფებმა იოკოძუნას ტიტულის სანაცვლოდ მაისში 12-13 ქულის დაგროვება მოსთხოვეს. ყოჩაღმა დევკაცმა მიზანს თითქმის მიაღწია და ძნელად წარმოსადგენია, დარჩენილ სამ ტურში ყველაფერი ჩააფლავოს.

ოცდამეერთე საუკუნის პირველი და ჯერაც ერთადერთი იოკოძუნას სათასო ამბიცია კი გუშინ ტიოტაიკაიმ ჩააცხრო. ამ ოძეკიმ ისე იოლად დაჩაგრა მრისხანე „ცისფერი დრაკონი“, თითქოს ვილაც მოყვარულ სუმოისტს ეჭიდავებოდა.

ასასიორუს გარდა ერთპიროვნულ ლიდერს ორ-ორი ქულით ჩამორჩებიან: სეკივაკე კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები ასასეკირიუ და დეძიმა.

დღეს ასასიორუ ვეტერან ოძეკის, 34 წლის კაიოს დაუპირისპირდება, ხაკუხო — კოტომიცუკის.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კრივი

# ვერის ბაღი აკრივებულა

**გუშინ** ვერის ბაღის კრივის დარბაზში პროფესიული კრივის ასოციაციამ მორიგი ოთხი სარეიტინგო ორთაბრძოლა გამართა.

72 კილოგრამში თბილისელებმა ჯუმბერ ბასილაძემ და გიორგი ზალიკალიანმა იკრივეს. სწრაფ ტემპში აგრესიულად დაწყებული ბრძოლა ოთხივე რაუნდში საინტერესოდ წარიმართა და საბოლოოდ ზალიკალიანის გამარჯვებით დამთავრდა.

54 კგ-ში ხვიჩა პაპიაშვილი (თბილისი) და კახა ავეტისიანი (ბორჯომი) შეიბნენ. დაძაბულ, საინტერესო და თანაბარ ბრძოლაში მეტოქეებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს და ფრეზე გაიყარნენ.

62 კგ-ში ნოდარ ცხოვრებაძე (დედოფლისწყარო) ბექა საჯაიას (თბილისი) შეხვდა. ულმობლად დაწყებული შეხლა ასევე გაგრძელდა და საჯაიას მინიმალური უპირატესობით დამთავრდა.

ბოლო დაპირისპირებაში 62 კგ-ში უშანგი რურუა (თბილისი) ნუგზარ მარგველაშვილს (საჩხერე) შეერკინა. ორივემ საინტერესო დაძაბული სანახაობა შემოგვთავაზა. ტემპიც მაღალი იყო და მოკრივეებიც ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, გამარჯვება კი მცირე უპირატესობით მარგველაშვილს არგუნეს.

**ლევან მაისურაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შარაპოვა დამძიმდა



AFP

**წლის** მეორე სლემტურნირის დაწყებამდე სულ ალარაფერი, ორიოდ დღე დარჩა, რის გამოც ჩოგბურთელების უმრავლესობა დიდ სამზადისშია. მათმა დიდმა ნაწილმა ამ კვირას დასვენება არჩია, მაგრამ ვისაც ფორმის აკრეფის მიზნით თამაში არ დაეზარა, ევროპის ოთხ ქალაქში გადანაწილდა ახლა სწორედ მათ შესახებ ვისაუბრებთ.

დიუსელდორფში მიმდინარე გუნდურ მსოფლიო თასზე თითქმის გარკვეულია ფინალისტების ვინაობა. წითელი ჯგუფის აშკარა ფავორიტად გამოიკვეთა ჩეხეთის ნაკრები, რომელიც ახალგაზრდა ტომაშ ბერდიხის წინამძღოლობით დიდებულად ჩოგნაობს. ჩეხები ესპანეთის შემდეგ ბელგიასაც გაუმკლავდნენ და ახლა მასპინძლებთან მოუწევთ თამაში. ხოლო რადგანაც გერმანელები არცთუ ოპტიმალური შემადგენლობით თამაშობენ (ლიდერი ტომი ჰაასი არ ჰყავთ, რომელიც სხვათა შორის „როლან გაროსსაც" გამოტოვებს) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩეხებს ფინალის საგზურის მოპოვება არ უნდა გაუჭირდეთ. ლურჯ ჯგუფში კი ძალიან მოულოდნელად არგენტინამ მოიგო და ახლა ფინალში მეტოქეს ელოდება — პატაგონიელებმა სენსაციურად დაჩოგნეს ფავორიტი ჩილელები და დიუსელდორფის ფინალში მეხუთედ ითამაშებენ.

ავსტრიულ პორტშახში ფავორიტების ცემა-გვემა მიმდინარეობს. ჯერ იყო და მესამე ნომერ ივან ლიუბიჩიჩს გამოუყვანეს წირვა — ხორვატის ცოდვა პერუელმა ლუის ჰორნამ დაიდო. გუშინ კი აყლაყუდა ბალკანელის გზას ძლიერი მოწოდებისა და ბადესთან თამაშის კიდევ ერთი მიმდევარი ენდი როდიკი გაუყენეს, რომელმაც აგერ უკვე მერამდენედ დაგვარწმუნა იმაში, რომ თიხნარზე ერთი საშუალო გაქანების ჩოგნის მქნეველია. იანკი-ბოის ახალგაზრდა გაელ მონფილზი გაუსწორდა. სამაგიეროდ, თიხნარის კიდევ ერთი მოძულე ლეიტონ ჰიუიტი გამოიყურება ბრწყინვალედ — ოზმა ჰამბურგის მასტერსზეც დაგვაჯერა თავის სიძლიერეში და არც პორტშახში ირცხვენს თავს, სადაც უკვე ნახევარფინალშია და აქ სწორედ მონფილზს გადაუჭდობს ჩოგანს.

ქალები კი სტამბოლსა და სტრასბურში განაწილდნენ. ჩვენ თურქეთის დედაქალაქიდან დავიწყოთ, სადაც ჯერჯერობით რუსების ზეობით მიმდინარეობს ყველაფერი. ორთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კორტზე პირველად ვიხილეთ მარია შარაპოვა. რუსი პრიმა მხარს იტკიებდა და ბევრიც გაუცდა, მაგრამ საროლანგაროსოდ მაინც ცდილობს ფორმის აღდგენას. თუმც ისიც ვთქვათ, რომ მაშას აქამდე ბევრი უკლია — შარაპოვა ძალიან მძიმედ გამოიყურებოდა ცვეტანა პირონკოვასთან შეხვედრაში და მთლიანობაში საკმაო ენერგია მიახარჯა ბულგარელის დამარცხებას, 6:4 7:6. წინ მიიწევს ელენა დემენტიევაც და, სავარაუდოდ, ფინალში ეს ორი დაეჯახება ერთმანეთს.

სტრასბურში ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით მიდის — იქ თითქმის ყველა ფავორიტი წინ მიიწევს. ერთადერთმა ნა ლიმ ვერ აუბა სხვებს მხარი და ესპანელ ანაბელ მედინა-გარიგესთან დაყარა ჩოგანბურთი.

**კახა ლომაშვილი**

# მაკა ჩახნაშვილს მეორე სლემტურნირი გაუცუდდა

**სამწუხაროდ,** მაკა ჩახნაშვილმა ვერ მოიპოვა წლის მეორე სლემტურნირზე თამაშის უფლება. ჩვენებურს „როლან გაროსზე" კვალიფიკაციაში თამაში უწევდა, სადაც სამი მატჩის მოგება ესაჭიროებოდა ძირითად ბადეში მოსახვედრად. მაკამ თავიდან კარგად დაიწყო და პირველი შეხვედრაში ებრაელი ევგენია სვრანსკი დაამარცხა — 6:3 6:4. მაგრამ ქართველი ჩოგბურთელის სვლა მეორე წრეში შეწყდა, სადაც მან ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია უნგრელ აგნეს სჟავაის და მასთან პირწმინდად დამარცხდა — 0:6 2:6.



# ქალთა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

## 19-30 მაისი. ეკატერინბურგი. რუსეთი

| | | |
|---|---|---|
| **საქართველო** | 1:3 | **რუსეთი** |
| მაია ჩიბურდანიძე | 0,5:0,5 | ტატიანა კოსინცევა |
| ლელა ჯავახიშვილი | 0,5:0,5 | ნადეჟდა კოსინცევა |
| ნინო ხურციძე | 0:1 | ეკატერინა კოვალევსკაია |
| სოფიკო ხუხაშვილი | 0:1 | ელენა ტაიროვა |
| **პოლონეთი** | 2:2 | **ვიეტნამი** |
| **უკრაინა** | 0,5:3,5 | **ჩინეთი** |
| **სომხეთი** | 1,5:2,5 | **გერმანია** |
| **ჩეხეთი** | 4:0 | **ბოტსვანა** |

**სატურნირო ვითარება**

| | |
|---|---|
| 1. ჩინეთი | 9 |
| 2. რუსეთი | 8 |
| 3. უკრაინა | 7 |
| 4. საქართველო | 6 |
| 5. ვიეტნამი | 5 |
| 6. პოლონეთი | 5 |
| 7. სომხეთი | 4 |
| 8. გერმანია | 4 |
| 9. ჩეხეთი | 2 |
| 10. ბოტსვანა | 0 |

მოგებაზე გუნდებს ეწერებათ ორი, ფრეზე კი ერთი ქულა



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

## მონაკოს ციკლონი ემუქრება

**კვირას** მონტე კარლოს ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში ჯუჯა მონაკოს საპირველფორმულო დიდი პრიზი გათამაშდება. ისედაც ურთულესი სარბოლო პირობები შესაძლოა, უფრო დაამძიმოს მოსალოდნელმა თავსხმამ.

ახალი მეტეოცნობა რბოლისას 40-პროცენტიანი ალბათობით წვიმას ვარაუდობს. ლაპარაკია ძლიერ ციკლონზე, რომელიც ზღვისპირა მონტე კარლოს შაბათ-კვირას მიაღწევს.

უამინდობა იქაური რბოლის მსვლელობაში ბოლოს 1997 წელს ჩაერია, როცა ტრასაზე ათი მანქანა დარჩა, ხოლო ერთი წლით ადრე სველ ტრეკზე ფინიშამდე მხოლოდ ხუთმა პილოტმა მიაღწია და მაშინ იყო, რომ თავის ხანგრძლივ კარიერაში ერთადერთი დიდი პრიზი მოიგო ფრანგმა მეფორმულე ოლივიე პანიმ.

წლეულს უკვე ორ ეტაპზე გამარჯვებული ფერარელი ფელიპე მასა, რომელიც სწორედ მონტე კარლოში ცხოვრობს, ასეთ მძიმე პირობებში რბოლას ლატარიად თვლის:

„აქ წვიმაში ჯერ არასოდეს მირბოლია, ოთხი გასვლის მიუხედავად. ამ გზებზე მცირედი შეცდომაც გამოთიშვას იწვევს, წვიმა კი ამგვარი შეცდომის ალბათობას მრავალჯერად ზრდის. თუ ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვა, ლატარიას მივიღებთ და ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ იმ მომენტში თქვენს ბოლიდს როგორი საბურავები ექნება. ნებისმიერ ლატარიაში მოგება ხომ გამართლებაზეა დამოკიდებული. იმედია, ამ უიქენდზე იღბალი ჩვენს მხარეს იქნება."

## კიმი კომფორტულად ვერაა

**ფელიპე მასას** ფინელი თანაგუნდელი კიმი რაიკონენი, რომელიც ცხრილში მეოთხე ადგილზეა, ჯერჯერობით კომფორტულად ვერ გრძნობს თავს „ფერარის" საჭესთან:

„არ ვიცი, ჩემთვის ახალ „ბრიჯსტოუნის" საბურავებშია საქმე თუ არა, მაგრამ მართლაც უკმაყოფილო ვარ მანქანით. თუმც ვფიქრობ, მალე ყველაფერი ნორმაში მოვა. არსებული მცირე პრობლემების მოსაგვარებლად დიდი დრო არ დაგვჭირდება და, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენ ვვსურს.

ესპანეთში ელექტრიკაში ხარვეზის გამო ფინიშამდე ვერ მივაღწიე ეს რომ არა, სატურნირო ვითარება სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ ჩემი ჩამორჩენა არც ისე დიდია, ტიტულისთვის კი რამდენიმე პილოტი იბრძვის და ასეთ სიტუაციაში ქულების მოპოვება ბევრად ადვილია, ვიდრე მაშინ, როცა მთავარი პრეტენდენტი მხოლოდ ორია. წინ გრძელი სეზონია და ჩემს გარდა ალბათ სხვებსაც შეექმნებათ პრობლემები."

## მაკლარენის ალმასები

**„მაკლარენ-მერსედესი"** წლევანდელი სეზონის ოთხი ეტაპის შემდეგ კონსტრუქტორთა თასზეც ლიდერობს და პირად ჩათვლაშიც მისი მრბოლები — ლუის ჰემილტონი და ფერნანდო ალონსო — პირველ-მეორე ადგილებზე არიან. მაგრამ ფერარელი კონკურენტები მათ კვალში მიჰყვებიან და, ნანდოს აზრით, უკვე ივნისის სამი ეტაპის (მონაკო, კანადა, აშშ) შემდეგ შესაძლოა, ერთ-ერთი ამ სიას გამოაკლდეს:

„ახლა ჩემპიონატის სათავეში ოთხი პილოტია და ტიტულისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად საჭიროა მომავალ სამ რბოლაში პოდიუმზე ასვლა, ასე რომ, ივნისის ეტაპები კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ბრძოლა ისეთი მჭიდროა, რომ დაკარგულის კომპენსირება შემდგომში ძალიან გაჭირდება.

სადღეისოდ რბოლების გრძელ დისტანციაზე უპირატესობა „ფერარის" აქვს და ჩვენ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ მათი ყოველი პრობლემა, როგორიც რაიკონენისა ესპანეთში, ან მასასი ავსტრალიაში, რათა კონკურენტებს რაც შეიძლება მეტი ქულა მოვუგოთ."

მონტე კარლოში ალონსოსა და ჰემილტონის ჩაფხუტებზე პატარა ალმასებით ინკრუსტირებული იქნება წარწერა „მონაკო 07". ეს აქცია ჩაიფიქრა „მაკლარენის" ერთ-ერთმა სპონსორმა, კომპანია „შტეინმეცმა". რბოლის შემდეგ ჩაფხუტები აუქციონზე გაიყიდება, ხოლო შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ეს „შტეინმეცის" პირველი აქცია არაა. შარშან ამგვარად მორთული „ქუდებით" მაკების მაშინდელმა მძღოლებმა კიმი რაიკონენმა და ხუან-პაბლო მონტოიამ იჯირითეს, ხოლო 2005 წელს ბრილიანტები „რედ ბულის" ბოლიდებს ამშვენებდა. მაშინ ფინიშის შემდეგ ხმა გავრცელდა, რომ კრისტიან კლიენის ავარიისას დალეწილი მანქანიდან ერთ-ერთი ბრილიანტი გაქრა. შესაძლოა, ესეც სარეკლამო ტრიუკი იყო.

**გია ახალაძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge